

F-171  
1972

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო



გაცემისათა და ინსპექციისათა

კ უ ლ ი ლ ი

1

С Б О Р Н И К

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

0 2 6 3 0 6 0

Контрольный экземпляр

რედაქტორი უშ. ობოლაძე  
კორექტორი ე. აგლაძე

### ვასი 14 კაპ.

ხელშორისლია დასაბეჭდიდ 7/III-72 წ. ინიციატივის ზომა  $6 \times 9,5$ ,  
ქაღალდის ზომა  $60 \times 84$ , სისტამბო ფორმათი რაოდენობა 4,5

შეკვ. № 59.

უ—05262

ფირავი 5.000.

საქართველოს ხსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდებით სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავირპოლიგრაფრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩეხიძის ქ. № 19.  
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете  
Министров ГССР ул. Уш. Чхендзе № 19

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
12 ოქტომბრის ბრძანება № 602

თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების  
შესახებ


სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, ჩომ თიანეთის რაიონის სკოლების ხელმძღვანელობის და მასწავლებლების მუშაობაში გამოვლინებულია სერიოზული ნაკლოვანებები.

კ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში (გამგე ე. თურქიაშვილი):

- გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი მოხსენებით ბარათში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხრელად და არსებითად გააუმჯობესოს რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკპ ხХIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქჲე;
- აღნიშნული მოხსენებითი ბარათი განხილულ იქნეს რაიონის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და დაისახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომ მოსწავლეებს ეძლეოდეთ მეცნიერებათა საფუძვლების მქონე და საფუძვლიანი ცოდნა;

- რეგულარულად შეისწავლოს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, შემოწმების შედეგები განიხილოს განათლების სახალხო საბჭოს სხდომაზე და ბრძანებები დაიყვანოს რაიონის ყველა სკოლამდე. პერიოდულად შეამოწმოს სკოლის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა;



ც) საგანგებოდ შეისწავლოს რაიონის სკოლებში ახალი კრონგრაფული გრამატიკით და სახელმძღვანელოებით სწავლების მდგომარეობაზე გაატაროს საჭირო ლონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმო-საფხვრელად;

ე) გაატაროს ლონისძიებანი სკოლებში სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების საჭირო დგამ-ავეჯით, იარაღ-ხელსაწყოებითა და რეაქტივებით შესავსებად, იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული ცდების, დაკვირვებებისა და ლაბორატორიული სამუშაოების სრულყოფილად ჩატარება;

ვ) მიაღწიოს იმას, რომ სასკოლო მიწის ნაკვეთები შეიცავდეს საბოსტნე და მინდვრის კულტურებს, დეკორატიულ მცენარეებსა და აღგილობრივ გავრცელებულ კულტურებს, ნაკვეთებზე წარმოდგენილ იქნეს ზოოლოგიური განყოფილებები, წარმოებდეს საცდელი მუშაობა იხალი ჯიშების გამოყვანაზე, რომ სასკოლო ნაკვეთი ნამდვილად წარმოადგენდეს ლაბორატორიას ლია ცის ქვეშ; არსებითად გააუმჯობესოს ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა;

ზ) მკვეთრად ამაღლოს სკოლის დირექტორებისა და მისი მოაღვილეების პასუხისმგებლობა, მიღწეულ იქნეს, რომ ისინი ღრმად ფლობდნენ სწავლების ახალ შინაარსსა და მეთოდებს და ამასვე მტკიცედ ითხოვდნენ მასწავლებლებისაგან, რომ ქმედით დახმარებას უწევდნენ მასწავლებლებს მუშაობაში, საგანგებოდ ემზადებოდნენ გაკვეთილებზე დაწრებისათვის და გაცვეთილებს აანალიზებდნენ ღრმად და მეცნიერულად. არ კმაყოფილდებოდნენ ნაკლოვანებების აღნიშვნით, არამედ ავლენდენ მიზეზებს და სახავდნენ სწავლების ხარისხის ამაღლების გზებს;

თ) გადაჭრით გააუმჯობესოს დაწყებითი კლასების მასწავლებლების მუშაობა, მიღწეულ იქნეს, რომ დაწყებითი კლასების კველა მოსწავლე ასწრებდეს.

ი) სასწავლო წლის ბოლოს საფუძვლიანად შეისწავლოს მოხსენებით ბარათში დასახელებული სუსტიად მომუშავე სკოლის დირექტორების, დირექტორების მოაღვილეების სასწავლო მუშაობის დარგში და მასწავლებლების მუშაობა და მათ მიმართ, რომლებიც არსებითად არ გააუმჯობესებენ მუშაობას, გაატაროს საჭირო ორგანიზაციული ლონისძიებანი და წარმოადგინოს განათლების



სამინისტროში მოხსენებითი ბარათი გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2. ტუშურების საშუალო სკოლის დირექტორი შ. ფილაური და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში დ. დოლიაშვილი, ოომლებმაც ვერ უზრუნველყვეს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე ხელმძღვანელობა, რის გამო სკოლაში ცალკეული საგნების სწავლება ძალზე დაბალ დონეზე დგას. იმსახურებენ თანამდებობიდან მოხსნას, მაგრამ მიღებულ იქნას მხედველობაში მათი განცხადება, რომ არსებითად გარდაქმნიან მუშაობას, პირობით დატოვებულ იქნან დაკავებულ თანამდებობებზე და გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

3. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის სიმონიანთხევის საშუალო სკოლის დირექტორს ქ. პატურაშვილს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. დავითაშვილს, ნაქალაქრის საშუალო სკოლის დირექტორს მ. არჩემაშვილს, დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ე. ზურაბიშვილს, ღულელების საშუალო სკოლის დირექტორს პ. საგინაშვილს; დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში მ. ბექაურს გამოეცხადოთ საყვედური.

4. თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ე. თურქიაშვილი) სათანადო სასჯელი დაადოს მოხსენებით ბარათში დასახელებულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებს.

5. სკოლების სამართველომ (აკ. ჩხილაძე) სასწავლო წლის ბოლოს შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმღინარეობა.

**საჭურველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის  
ამნ. თ. ვ. ლ. ა შ ქ ა რ ა შ გ ი ლ ხ

### მოსსენაბითი ბარათი

თიანეთის რაიონის სკოლებში ხასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ბრიგადამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორების შ. ლომიძის (ხელმძღვანელი), ე. ქურციკიძის, ი. პეტრენკოს, დ. მახარაძის, შრომითი, პოლიტექნიკური და ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოყენების რესპუბლიკური კაბინეტის მეთოდისტების გ. ჯავახიძის, გ. გორგობიანის და თ. ხერცილავას შემაღებელობით 1971 წლის 12-დან 20 სექტემბრამდე შეისწავლა თიანეთის რაიონის განათლების განყოფილებისა და სკოლების მუშაობა.

განათლების განყოფილება დაკომპლექტებულია სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკებით; გამგე ე. თურქიაშვილი—ქიმია-ბიოლოგიის, ინსპექტორები ვ. ობგაიძე—მათემატიკის, მ. მგელიაშვილი—რუსული ენისა და ლიტერატურის, მეთოდური კაბინეტის გამგე მ. მოსახლეობისტი—ისტორიის, მეთოდისტები: ა. ულენტი—ქართული ენისა და ლიტერატურის, ლ. გურგენიძე—ბიოლოგიის, ლ. ჭინჭარაული—სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტები არიან. სკოლები ძირითადად დაკომპლექტებულია საჭირო ცენზისა და სპეციალობის მქონე მასწავლებელთა კადრებით.

განათლების განყოფილება პერიოდულად ამოწმებს სკოლებში სასწავლო აღმზრდელობით მუშაობას, შემოწმების შედეგები ეგზავნება მხოლოდ შემოწმებულ სკოლებს, ისინი არ იხილება განათლების საბჭოს სხდომებზე, არ იწერება ბრძანებები და არ ხდება მათი დაყვანა რაიონის ყველა სკოლამდე. არ წარმოებს სკოლებზე მიცემული მითითებების შესრულების შემოწმება.



კარგად მუშაობს მეთოდური კაბინეტი (გამგე მ. მოსიაშვილი) პედაგოგიური პროცესის ეფექტურობის ამაღლებისათვის, მისი უკეთესი შედეგებისათვის, სწავლების ახალი, მეცნიერულად დასაბუთებული შინაარსისა და მისი მოწინავე მეთოდებისათვის ბრძოლა, აი რა განსაზღვრავს მ. მოსიაშვილის, როგორც მეთოდური კაბინეტის ხელმძღვანელის საქმიანობას. მეთოდურ კაბინეტთან ნაყოფიერად მუშაობენ სექციები ცველა სასწავლო დისციპლინაში, სკოლის ხელმძღვანელების, სკოლა-ინტერნატებისა და ბავა-ბალის, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელ-მასწავლებელთა და ბიბლიოთეკარების. კაბინეტთან გამოფენილია საუკეთესო სკოლის და კლასის ხელმძღვანელების სამუშაო გეგმები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში გაკვეთილის გეგმები, საკონტროლო წერის რვეულები და სხვ.

კარგად არის დაყენებული, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დაბა თიანეთის საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. ჭრელოშვილი, დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობას დარგში ფ. შატბერაშვალი და კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი რ. იარაჯული). ისინი ღრმად არიან დაუფლებული სწავლების ახალ შინაარსსა და მეთოდებს და ამასვე მტკიცედ ითხოვენ მასწავლებლებისაგან. ისინი არა მარტო თავისი საგნის კარგი სპეციალისტები არიან, არამედ მათ სრულყოფილად აქვთ ათვისებული საშუალო სკოლის სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები. ისინი საგანგებოდ ემზადებიან გაკვეთილებზე დასწრებისათვის და გაკვეთილებს არჩევენ ღრმად და აკადემიურად. არ კმაყოფილ და ნაკლოვანებების აღნიშვნით, არამედ ავლენენ ნაკლოვანებათა მიზეზებსაც და სახავენ საქმის გუმჯობესების გზებსაც.

სკოლის წლიურ სამუშაო გეგმაში კონკრეტულად არის გამოკვეთილი საკითხები, გათვალისწინებულია შესრულების კალენდარული ვადები და შემსრულებლები, მოცემულია თითქმის ყველა საგნის სწავლების მდგრადირობის შესწავლა ცალკე I—III, IV—VIII და IX—X კლასებში. გათვალისწინებულია აგრეთვე ცალკე საგნების სწავლების საქმეში. თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების, საპროგრამო მასალის გაცლისა და ათვისების ხარისხის შემოწმება.

პედაგოგიურ საბჭოზე სასწავლო მეოთხედებისა და წლის ბოლოს გაკეთებულია ჩატარებული მუშაობის ღრმა და საფუძლიანა ანალიზი, გამოვლინებულია სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში



არსებული ნაკლოვანებანი და დასახულია კონკრეტული სტილის შემთხვევაში განვითარებანი და ნაკლოვანებათა გამოსწორების რეალური გზები. ასევე კარგად მცველობს თიანეთის რვაწლიანი სკოლა (დირექტორი, ვ. წიკლაური), უებოტის რვაწლიანი სკოლა (დირექტორი ნ. ნადიბაძე), ახალსოფლის 8-წლიანი სკოლა (დირექტორი აქიმი-შვილი) და ა. შ.

მიუხედავად ამისა, შემოწმებული სკოლების მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლთა გარკვეულ ნაწილს სათანადოდ არა აქვს შეგნებული ის დიდი როლი, რაც ეკისრება დედაქნას მოზარდთა სწავლა-აღზრდის საქმეში. ბევრი მასწავლებელი ჯერ კიდევ უსისტემოდ აწარმოებს პროგრამული საკითხების სწავლებას, ნაკლებად ითვალისწინებს დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ათვისების უნარს, ახალ მასალის მოსწავლეებს აწვდის თვალსაჩინოების გარეშე, სრულყოფილად არ მცვაობს სათანადო უნარ-ჩვევების ფორმირებაზე, რის შედეგადაც დაწყებით კლასებში ბევრი ბავშვი წერა-კითხვის მტკიცე ჩეკვებს ვერ იძენს.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები: პ. არაბული (ღულელების საშ. სკოლა) და ა. ჯამაგიძე (ნაქალაქრის საშ. სკოლა). ონიშნული მასწავლებლები მიმზიდველად ატარებენ გაძვეთილებს, ახალი მასალის ახსნისას მოხერხებულად იყენებენ თვალსაჩინოებას, ყურადღებას აქცევენ საშინაო დაგალების საფუძვლიან შემოწმებას, მოსწავლეთა სასაუბრო ლექსიკონის გამდიდრებას, რაციონალურად იყენებენ თითოეულ წუთს, ზრუნველ კითხვის ტექნიკის გამომუშავებისათვის. დამაკმაყოფილებელია ამ კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე. I კლასში (მასწ. პ. არაბული). მოსწავლეები შედარებით გამართულად მეტყველებენ, შეუძლიათ - პატარა ამბის დალაგებით გადმოცემა, სტყვერის ბეგრითი შედგენილობის ანალიზი, მოძრავი ანბანით ახალი სიტყვების აწყობა.

არადამაკმაყოფილებლად ასწავლიან ქართულ ენას მასწავლებლები: ქ. სისაური, ს. მამულაშვილი, ს. თანიაშვილი (ტუშურების საშ. სკოლა), თ. ჯიმშიტაშვილი (ღულელების საშ. სკოლა), თ. გვარიანაშვილი, ზ. კენკიშვილი (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა), თ. ღოლიაშვილი (სომხნიანთხევის საშ. სკოლა).

აღნიშნული მასწავლებლები არ არიან დაუფლებული დაწყებულების ბით კლასებში სწავლების მეთოდებს, გაკვეთილებს ატანდუმურთვას ერთფეროვნად და მოსაწყენად.

მეთოდურად გაუმართავი გაკვეთილი ჩაატარა III კლასში მასწავლებელმა ს. მამულაშვილმა (ტუშურების საშ. სკოლა). იგი ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას, საფუძვლიანად არ ამოწმებს მოსწავლეთა ცოდნას, ვერ ხსნის ნაწარმოების დედააზრს, ცუდად ატარებს ტექსტზე მუშაობას, კმაყოფილდება მხოლოდ ტექსტის კითხვით, რაც ძალზე მოსაბეჭრებელი და მოსაწყენია. დაბალ დონეზე ჩატარდა გრამატიკული ვარჯიში III კლასში, მასწავლებელმა ბავშვებს გამოპყითხა მარცვლის, ასო-ბგერის განმარტება, ხმოვნები და თანხმოვნები, მაშინ, როდესაც ამ ეტაპზე მათ ნასწავლი უნდა ჰქონდეთ წინადაღების სახეები, მეტყველების ნაწილები: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, ზმა, ბრუნვები, მასწავლებელ ზ. კერნიშვილს შეუმჩნეველი. დარჩა დაფაზე მოსწავლის მიერ შეცდომით შესრულებული ჩანაწერი.

ერთფეროვანი გაკვეთილი ჩაატარა I კლასში მასწავლებელმა თ. დოლაშვილმა, 30 წუთის განმავლობაში მოსწავლეები კითხულობდნენ ტექსტს, მოსწავლეთა კითხვის ტექნიკა ძალზე დაბალია. ამის შედეგია ის, რომ 3-მა მოსწავლემ 16 სიტყვიანი ტექსტის კითხვის 20 წუთი მოანდომა, მოსწავლეებს უჭირთ იმ ოთხი ასო-ბგერის ცნობა, რომლებიც უკვე შეისწავლეს.

მეთოდურად სუსტი გაკვეთილი ჩაატარა II კლასში (ქართული წერა) მასწავლებელმა ს. თანიაშვილმა. მან არაორგანიზებულად წარმართა შეცდომების გასწორება, შემდეგ კი დაფაზე დაუწერა ერთი წინადაღება და დავადა გადაეწერათ იგი რვეულებში. მთელი გაკვეთილის განმავლობაში მხოლოდ ეს მარტივი საშუალო სრულდებოდა.

არასრულყოფილ ად ჩაატარა ახსნითი კითხვა მასწავლებელმა თ. ჯიმშიტაშვილმა. ახალი მასალის („ვაშლი და შექარა“) ახსნას მასწავლებელს ასახსნელი დარჩა შემდეგი სიტყვების მნიშვნელობა: ელვარებს, საამო, გრიალით, მაღლი. არ ავარჯიშა მოსწავლეები გრამატიკულ მასალაზე. დაბალია კლასის მომზადების დონე, მოსწავლეებს უჭირთ კითხვითი წინადაღებისა და წელიწადის დროების მიხედვით თვეების დასახელება.

არაორგანიზებულად ატარებს გაკვეთილებს მასწავლებელით. გვარიანაშვილი. კლასში სუსტი დისციპლინაა, მასწავლებელი ძალიან ხშირად აძლევს შენიშვნებს მოსწავლეებს, რის გამოც ირლევა გაკვეთილის მსვლელობა.

დასახელებული მასწავლებლები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მოსწავლეთა წერითი კულტურის ამაღლებისათვის. გულდასმით არ ასწორებენ რვეულებს, ვერ ამჩნევენ მოსწავლეთა მიერ დაშვებულ შეცდომებს, არ იცავენ განათლების სამინისტროს მეთოდურ მითითებებს წერითი მუშაობის ნორმებისა და სახეების შესახებ, ძირითადად მიმართავენ დაფილან და წიგნიდან გადაწერას, ნაკლებად და ზოგჯერ სრულიად არ იყენებენ ისეთი სახის სავარჯიშოებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების გამომუშავებას.

I კლასი (მასწ. თ. გვარიანაშვილი). მოსწავლეებს ახლად გაცნობილი ასო-ბეგერის ნიმუში არ ჰქონდათ გამოწერილი რვეულებში. ამიტომ მასწავლებელი გაკვეთილის მიმღინარეობის პროცესში დადიოდა მერჩებს შორის და ფეხზე მდგომი უწერდა თითოეულ მოსწავლეს ნიმუშს. მასწავლებელი ს. ბალიაშვილი კი ასო-ბეგერის ნიმუშს მეორე დღეს აძლევს მოსწავლეებს, 1 დღეს კი თვითონ წერენ ყოველგვარი ნიმუშის გარეშე.

შემოწმებულ სკოლებში სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება. დაწყებითი კლასის მასწავლებლები: ს. ბალიაშვილი, რ. წიკლაური (ნაქალაქრის საშ. სკოლა), თ. გვარიანაშვილი, ე. კენკიშვილი (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა) ვერ აძლევენ მოსწავლეებს პროგრამით გათვალისწინებული მასალის მყარ ცოდნას მათემატიკაში. მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი სუსტიად ერკვევა ახალი პროგრამის შინაარსში, ვერ ფლობს სწავლების მეთოდებს.

მეთოდურად გაუმართავი გაქვეთილი ჩაატარა მათემატიკის II კლასის მასწავლებელმა ე. კენკიშვილმა. მან 25 წუთი დაუთმო საშინაო დავალების შესრულების შემოწმებას—5 ერთმოქმედებიანი მაგალითის ამოხსნას, დანარჩენი 20 წუთის განმავლობაში სრულდებოდა საკლასო წერა. დავალებად მიცემული ჰქონდათ 2 მაგალითი (76+3 და 54+2), კლასში 16 მოსწავლიდან საკლასო სამუშაო დაამთავრა მხოლოდ 9 მოსწავლემ, 7-მა კი ვერ მოასწორო.

ანალოგიური ნაკლოვანებებით ჭასიათდება შასწ. თ. დოკუმენტი  
შეიღის გაკვეთილი, ასე, მაგალითად, დაფაზე ციფრების „2“-ს  
და „4“-ის წერაზე ვარჯიშს მან 22 წუთი მოანდომა.

I კლასის მოსწავლეები (მასწ. ბალიაშვილი) ვერ ცნობეს ციფრებს, ციფრები ერევათ ასოებში, მასწავლებელი ცუდ კალი-  
გრაფიულ ნიმუშს აძლევს მოსწავლეებს. დაფა დაუხაზვია, მას-  
წავლებელი გაკვეთილის პროცესში ხაზვს დაფაზე უჯრებს, რომ-  
ლებიც ზომაზე დიდია, მოსწავლეებს ძალზე უჭირო ამ ღიდ უჯ-  
რებში ციფრების წერა. მასწავლებელმა არ ავარჯიშა მოსწავლეები  
ახლადგაცნობილი ციფრის „6“-იანის წერაში.

დაბალ დონეზე ისწავლება სიმღერა, მუსიკა, ხატვა და ფიჭ-  
აულტურა. სახატავი რვეულების უქონლობის გამო მოსწავლეები საწერი რვეულების ფურულებზე ხატავენ. აღნიშნული საგნების სწავლება ძირითადად დაბალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებს უხდებათ.

საკლასო ოთახების ორგანიზაციაში ბევრგან დარღვეულია ელემენტარული ჰიგიენური მოთხოვნები: სინათლისაკენ ზურგითაა განლაგებული მერხები ან სინათლე შემთდის მარჯვენა მხრიდან და ბავშვები წერენ ცუდი განათების პირობებში (ტუშურების, ღუ-  
ლელების, ხევსურთსოფლის, სიმონიანთხევის სკოლები).

სკოლებში არ არსებობს სათანადო მეთოდური ლიტერატურა, მასწავლებლები არ იცნობენ საჭირო მეთოდურ წერილებსა და ინსტრუქციებს დაწყებითი სწავლების საკითხებზე.

მეთოდგართიანებათა ხელმძღვანელები სერიოზულად არ ეკიდებიან განსახილველ საკითხთა შერჩევის, ყურადღებას არ ამახვილებენ ახალი პროგრამებით სწავლების ძირითად საკითხებზე. ნაქალაქარის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მეთოდგარ-  
თიანების გეგმაში სულ 4 საკითხია, ყველა მათგანი ეძღვნება აღზრდის საკითხებს, ამასთან პედაგოგიურ ლიტერატურაში საკ-  
მარდ დამუშავებულს ან ამ გაერთიანებისათვის სრულიად შეუფე-  
რებელს („როგორ აღვჩარდოთ შეგნებულ ადამიანებად ზნეობრი-  
ვად მერყევი და უსაქმურობას, სიზარმაცეს მიჩვეული ბავშვები“).

აღნიშნულ მასწავლებლებს, თითქმის ყველას 1970 წელს  
გავლილი აქვთ დახელოვნების მოქლევადიანი კურსები, რაც, რო-  
გორც ჩანს, სრულიად „არ აღმოჩნდა საქმარისი მათი სათანადო  
მომზადებისათვის, მათ მიერ ახალი პროგრამების საფუძვლიანი“

გთცნობისათვის. მასწავლებლები კარგად ვერ ერკვევიან პასუხი /  
პროგრამების შინაარსში და მით უმეტეს, ამ პროგრამებით შექმნალი  
გის საკითხებში. სკოლებში არ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს,  
მასწავლებლები არ ზრუნავენ თვალსაჩინო მასალების შეძენაზე და  
მათ გამოყენებაზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი ცოდნითა და პედა-  
გოგიური ტაქტით გამოიჩინებან გ. ჭრელოშვილი (თიანეთის საშ.  
სკოლა) და ო. ლევერაშვილი (სიმბონიანთხევის საშ. სკოლა). ისინი  
პასუხისმგებლობით ემზადებიან გაკვეთილებისათვის, იყენებენ  
სწავლების მოწინავე ხერხებსა და მეთოდებს, რის შედეგადაც მა-  
თი მოსწავლეები ამჟავნებენ განვლილი მასალის ცოდნას, მეტყვე-  
ლებენ სწორი ლიტერატურული ენით.

გ. ჭრელოშვილმა (X ქლასში) აქტიურად წარმართა გაკვეთილი, ჭინასწარ, კარგად მოფიქრებული კითხვებით შეამოწმა მოსწავლეთა ცოდნა და თანდათან, შეუმჩნევლად გადავიდა ახალი მასალის (ეგნატე ნინოშვილის „სიმონა“—იდეურ-მხატვრული ანალიზი) ახსნაზე. მან მოფიქრებულად გამოიყენა კითხვა-პასუხის, თხრობის მეთოდები და გაკვეთილის პროცესში ჩააბა მთელი ქლასი, რითაც სასურველ შედეგს მიაღწია—მოსწავლეებმა ახალი მასალა კარგად აითვისეს. დაახლოებით ასევე წარმართა გაკვეთილი ი. ლევერაშვილმაც.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურას დამაკმაყოფილებლად  
ასწავლიან: მ. ყარალაშვილი (სიმონიანთხევის საშ. სკოლა), ე.  
ამირხანაშვილი, მ. ბუჯააშვილი (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა),  
ნ. მახაროვა, ა. კოკოზაშვილი (ტუშურების საშ. სკოლა), ს. ზარა-  
ვანდაშვილი (ლულელების საშ. სკოლა), ი. აფციაური (ნიქილავრის  
საშ. სკოლა), მ. ყაზახაშვილი (თიანეთის საშ. სკოლა).

აღნიშნული მასწავლებლების მუშაობაში, მართალია, შეინიშნება ცალკეული ნაქლოვანებანი, მაგრამ არსებითი ჩავარდნები არ გააჩიათ, საგანს დამაკმაყოფილებლად ფლობენ და მოსწავლეებმაც იციან განვლილი საპროგრამო მასალა.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურას სუსტად აწყავლიან: თ. მამულაშვილი (ტუშურების საშ. სკოლა), მ. წიკლაშვილი ღულელების საშ. სკოლა), ლ. სომხიშვილი (ხევსურთსოფლის საშუალო სკოლა).

ცული შთაბეჭდილება დატოვა თ. მამულაშვილის (ტუშერების საშ. სკოლა), გაკვეთილების გეგმამ, ორმელიც საცხელის შეცდრივა ენობრივი შეცდომებით.

მ. წიკლაურის (ღულელების საშ. სკოლა) გაკვეთილი IX კლასში (გაქვ. თემა „გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფია“) ხასიათ-დებოდა მთელი რიგი ნაკლოვანებებით: მოსწავლეები მეტყველებდნენ ძალზე ცუდად, უშვებდნენ ენობრივ და ფაქტობრივ შეცდომებს, რაც შეუმჩნეველი რჩებოდა მასწავლებელს, მაგალითად: „გრიგოლ ორბელიანი მიაბარეს საარტილერიო სკოლაში“... „პირველად განათლება მიიღო სახლში, შემდეგ კი სასულიერო სკოლაში... „ამის გამო მრავალი ხალხი დააპატიმრეს“, „საქართველოში დაარსებული იყო რუსეთის პოლიტიკა“, „ერთხელ საპატიო შროსთან მიეიღა თითქმის აბოდენიმე მოქეცევები“ და სხვ.).

გარდა ამისა, არც მასწავლებელია დაზღვეული მსგავსი შეცდომებისაგან „ეს პოემა, (ლაპარაკია გრ. ორბელიანის „სადლეგრძელოზე“), ავტორმა დაწერა, როდესაც ერევანში თურქეთთან პერნილათ ომი“... „დავითმა, სადაც ხმალი დაადო, იქ იღმოცენდა ქალაქი, მას უშოდეს აღმშენებელი“).

არც მასწავლებელს და არც მოსწავლეებს არ გააჩნდათ ლიტერატურის ქრესტომათია. მასწავლებელმა კი ვერც ერთი ადგილი ვერ მოიყვანა ზეპირად.

ყველივე ამას ისიც ემატება, რომ იგი უპასუხისმგებლოდ ეპყრობა მოსწავლეთა წერით ნამუშევრებსაც, რაზეც მეტყველებს ის, რომ გასულ წელს მეათე კლასში მხოლოდ ოთხი საკონტროლო წერა ჩაუტარებია. ამასთან, პირველ და მესამე მეოთხედებში ზოგიერთ მოსწავლეს არც ერთხელ არ შეუსრულება საკონტროლო წერა, მასწავლებელმა კი მეოთხედური ნიშანი „5“, „4“ და „3“ გამოიყვანა.

უპასუხისმგებლოდ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას ლ. სომხიშვილი (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა). ეს განსაკუთრებით ეხება მის მიერ წერითი ნამუშევრების გასწორებასა და უზრნალში ნიშნების შეტანას.

აღნიშნული მასწავლებელი გასულ წელს ასწავლიდა დამამთავრებელ მეათე კლასს, მას უგულისყუროდ გაუსწორებია საგამოცდო წერითი ნამუშევრები, რაზედაც მეტყველებს ის, რომ ზოგიერთი მოსწავლის თხუზულებაში შეუნიშნავს 5—7 შეცდომა, შეუნიშნავი დატჩენია 10—17 შეცდომა,

ლ. სომხიშვილს გასულ სასწავლო წელს უურნალში არ შეიჩ/ ტანია საკონტროლო წერის ნიშნები; გარდა ამისა, 67 გაყვეტილია ისე ჩაუტარებია, რომ მოსწავლეების ნიშანი საკლასო უურნალში არ შეუტანია.

დაბალ დონეზე ჩაატარა მან გაქვეთილიც (VII კლასში). მასალის გადაცემის დროს სჯერდებოდა ზერელე განმარტებას და უშვებდა ფაქტობრივ შეცდომებს. მაგალითად, მოსწავლეებს განუმარტა: „ფანტაზია ისეთი ამბავია, რომლის შესრულება შეუძლებელია“, „კაფია იწვევს სიცილს და ერთ ამბავს იწვევს“.

ან კიდევ: მოსწავლეებს უჩევნა სახელმძღვანელოში მოთავსებული შოთა რუსთაველის პოტრეტი და განაცხადა, რომ ეს პორტრეტი პალესტინაში ტიმოთე გაბაშვილმა აღმოაჩინა და ჩამოიტანაო.

პედაგოგიური ტაქტი იქლია ჯანგირაშვილს (თიანეთის საშ. სკოლა). მან გამოკითხვის შემდეგ დასვა მოსწავლე და განუცხადა: „სულ არა ხარ მომზადებული, მაგრამ მაინც სამიანს გიშერ სტუმრის ხათრითო“.

ღულელების საშ. სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწ. ნ. ა. გაბაევა თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს პროგრამის ძირითადი დებულებებით, მოწინავე მეთოდიების მთავარი პრინციპებით, საჯუთარი რწმენით, რომ ცოცხალი მეტყველება გაკვეთილზე შეაყვარებს ენას, ხოლო საგნისადმი სიყვარული და ინტერესი არის წარმატების საწინდარი.

ბაბაევამ X კლასში გაკვეთილი ჩაატარა თემაზე ა. მ. გორგის „სიმღერა შევა ჩდენზე“. მოსწავლეები მზად იყვნენ ახალი მასალის გასაცნობად, ისინი კარგად პასუხობდნენ კითხვებს გორგის ბიოგრაფიიდან, იძლეოდნენ ამომწურავ პასუხებს რეალიზმის, რომანტიზმის, რევოლუციური რომანტიზმის, სოციალისტური რეალიზმის შესახებ. მასწავლებელი კარგად ფლობს გამოკითხვის ტექნიკას, შეუძლია დამყაროს კონტაქტი მთელ კლასთან და ცალკეულ მოსწავლესთან. ამის შედეგად მოსწავლეებმა დაძლიერ ენისადმი შეიში და არ უჭირთ ლაპარაკი რუსულად. კარგი შთაბეჭიდლება დატოვეს ხევსურთსოფლის საშუალო სკოლის მასწ. ნ. ს სააკიანის გაკვეთილებმა. ნ. ს. სააკიანი მეტყველებს კარგად, წინასწარ ემზადება გაკვეთილებისათვის, არის მკაცრი და სამართლიანი მომთხოვნი.



ნაქალაქრის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელთა უკრაინული გ. ხანდოლიშვილმა იცის საგანი, მაგრამ ვერ კიდევ კარგად არ არის დაუფლებული მისი სწავლების მეთოდებს. შემოწმებული სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ვ. სუხიაშვილს (ტუშურების საშ. სკოლა), რ. ბაიაშვილს (ხევსურთ-სოფლის საშ. სკოლა), ვ. ნიკიფოროვს (ლულელების საშ. სკოლა); მ. კაგვანტირაძეს, ტ. შავერდაშვილს, მ. ფიცხელაურს (სიმონიანთ-ხევის საშ. სკოლა); მ. მეჯლუმოვს (ნაქალაქრის საშ. სკოლა) არ აქვთ სპეციალური განათლება და ვერ ფლობენ ენას, მეტყველებაში უშვებენ უხეშ შეცდომებს, ამიტომ ისინი ვერ ახდენენ მოსწავლეთა მეტყველებაში დაშვებული შეცდომების გასწორებას.

საქლასო-საშინაო დაგალების ჩვეულები არ სწორდება მას-წარმოებელთა მიერ, მიუხედავად იმისა, რომ არის უამრავი შეცდომა.

რაიონში არ ჰყავთ საქმიო რაოდენობის რუს. ენის მასწავლებლები და იძულებული არიან დანიშნონ არასპეციალისტები. მიუხედავად ამისა, განათლების განყოფილებას შეეძლო უფრო კარგად გაენაწილებინა კადრები, მაქსიმალურად გამოყენებინა საგნის სპეციალისტები. ასეთი პედაგოგები რაიონში არიან და არც თუ გადატვირთული არიან. აუცილებელია დატვირთვის რაციონალური განაწილება. განა დასაშვებია, რომ ხევსურთსოფლის მასწავლებელს რ. ბაიაშვილს, რომელიც ვერ ფლობს რუსულ ენას, ჰქონდეს 23 საათი დატვირთვა?! იმავე სკოლაში ს. დიდებაშვილს, რომელიც უკეთ ფლობს ენას, აქვს 6 საათი დატვირთვა.

მაღალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს თიანეთის საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ფ. შატბერაშვილი, მან კარგად გადასცა ალგებრის გაკვეთილი VIII კლასში, მოქლე დროში, მაგრამ ყურადღებით და საფუძვლიანად შეამოწმა საშინაო დაგალება, მოსწავლეებს მისცა საჭირო მითითებანი, ხოლო მაგალითი, რომელზედაც კლასის გარეკვეულ ნაწილს პასუხი სწორად არ ჰქონდა მიღებული, ერთ-ერთ მოსწავლეს სხვა მოსწავლეთა მონაწილეობით დაფარებული გადააწყვეტინა, გამოავლინა მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომა და ნათელი გახადა მაგალითის ამოხსნის ყველა საფეხური, ამასთან, მან განტოლების  $x - \frac{20x - (10 - 3x)}{156} = \frac{26x - 51}{52}$

$$-\frac{2(1-3x)}{13}$$

იმოხსნის პროცესში მოხერხებულად დაყენა კითხვები

განვლილი მასალიდან (განტოლებათა ამოხსნის საფეხურებით მომზადება და განტოლების ძირითადი თვისი განვლილი, განტოლებათა ტოლფასობრივი მოვლენა და სხვ.), რაზედაც მოსწავლეებმა დამაქმაყოფილებელი პასუხები გასცეს, საგულისხმოა რომ მასწავლებელი ალგებრის გაკვეთილზე უყურადღებოდ არ ტოვებს არითმეტიკის საკითხებსაც, მათ შორის ზეპირ ანგარიშს და სხვა, აღწევს გაკვეთილის ყველა მომენტში მთელი კლასის აქტიურად ჩაბმას.

დამაქმაყოფილებელი იყო ხევსურთსოფლის საშუალო სკოლის მასწავლებელ პ. ტერტერაშვილის გეომეტრიის გაკვეთილი VIII კლასში. მან საშინაო დავალების სათანადო შემოწმების შემდეგ კარგად წარმართა ახალი მასალის გადაცემა, ჩამოაყალიბა თეორემა, პარალელოგრამის II ნიშნის შესახებ, ჩაატარა თეორემის ანალიზი, მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით დამტკიცა იყო, შემდეგ მოაწყო მასალის შეთვისების შემოწმება და განმტკიცება, რისთვისაც კარგად გამოიყენა შესაფერისი პრაქტიკული სავარჯიშო, თავის დროზე მისცა კლასს საშინაო დავალება.

კარგად ჩაატარა IX კლასში ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი ლულელების საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. ვამავრძელ. მან საფუძვლიანად მოაწყო მიცემული დავალების შემოწმება. მოსწავლეთა უმრავლესობამ კარგად იცოდა პირველი ხარისხის ერთულნობიანი განტოლების გრაფიკული ამოხსნა. ყველა შემთხვევის შეგნებული განხილვით და გრაფიკების ავებისას. სათანადო ხერხების და წესების დაცვით, მასწავლებელმა კარგად ახსნა ახალი მასალა. დამაქმაყოფილებლად ჩაატარა ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი X კლასში ვ. პეტრიაშვილმა და ალგებრის გაკვეთილი VII კლასში ა. ჭურგენაშვილმა (სიმონიანთხევის საშ. სკოლა), ისინი სისტემატურად მუშაობენ თავის თავზე და მომზადებული ცხადდებიან გაკვეთილებზე.

შემოწმებული სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ მუშაობს მონდომებით, პასუხისმგებლობით არ ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, რის გამო დაბალ დონეზე ატარებს გაკვეთილებს.

არადამაქმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები: ნ. ხიბლაშვილი, ვ. ვამავრძელ (ხევსურთსოფლის საშ. სკოლა), ს. დულუზაური (თიანეთის საშ. სკოლა), ხევსურთსოფლის საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნ. ხიბლაშვილი ვერ ფლობს 16



საგანს, არ იცის სავნის სწავლების შეთოდები, მან ძალზე დაჭურვა-  
დონებზე ჩაატარა V კლასში არითმეტიძის გაკვეთილი. მოსწავლეთა  
უმრავლესობას ცუდად ჰქონდა შესრულებული მიცემული საშინაო  
დავალება ნატურალურ რიცხვთა დამრგვალებაზე. მოსწავლეებმა  
მექანიკურად იციან რიცხვთა დამრგვალების წესი. თვით მასწავ-  
ლებელიც უცოდინარობას ამუღავნებს და დაფასთან გამოსულ მოს-  
წავლეს ეხმარება და ეთანხმება, რომ 545823 დავამრგვალოთ  
მეათედამდე სიზუსტით, იქნება 545803—დაფაზე და რვეულებში  
კეთდება ასეთი ჩანაწერი „545823=545803“. სერიოზული შეცდო-  
მები დაუშვეს მოსწავლეებმა, რაც მასწავლებლის მიერ არ გას-  
წორდა. მოსწავლე ამბობს: „ნატურალური რიცხვების გარდა  
გვაქვს ნატურალური მუკრივი და რომაული რიცხვი, ციფრებით  
გამოსახულ რიცხვებს წერითი ნომერაცია ეწოდება, ხოლო რიცხვე-  
ბით გამოსახულ ციფრებს კი ზეპირი ნომერაცია“.

იღნიშნულ შეცდომებს მასწავლებელი არ ასწორებს—ან რო-  
გორ გაასწორებდა მასწავლებელი ამ შეცდომებს, როცა თვითონ  
უფრო უხეშ შეცდომებს უშვებს: მასწავლებელი კლასს „უხსნის“  
შექრების კანონებს, როცა ახალი მასალის ახსნას იწყებს, სურს  
კლასს მოაგონოს, როგორ არითმეტიყულ მოქმედებას ეწოდება  
შექრება და იგი ამბობს: შექრება არის ისეთი არითმეტიყული  
მოქმედება, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვპოულობთ ტოლშესაჭ-  
რებთა ჯამს“. გაიმეორა ეს წინადადება და გაამეორებინა რამო-  
დენიმე მოსწავლეს. „ეხლა ჩვენ შევისწავლოთ შექრების კანონები,  
მაგალითად:

$$5+10=15$$

$$10+5=15$$

a, b, c, y, z—ამ ასოებს ხმარობენ ჯუფთებადობის კანონები  
ე. ი.  $a+b=b+a$ . მასწავლებელი ასეთი და სხვა ამგვარი ფრაზებით  
ესაუბრება ბავშვებს გაკვეთილის ბოლომდე, რაც კომეტარს აღარ  
საჭიროებს. მასწავლებელს დამთავრებული ჰქვს პუშკინის სახელო-  
ბის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის  
ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება.

IX კლასში ალგებრა და ელემენტარული ფუნქციების გაკვე-  
თილისათვის მოუმზადებელი გამოცხადდა ამავე სკოლის მათემა-  
ტიკის მასწავლებელი ვ. ჯამაგიძე. მან გაკვეთილი არაორგანიზე-  
ბულდ ჩაატარა, ერთმანეთში აურია დავალებად მიცემულ მაგა-  
ლითებზე და გაკვეთილზე სავარჯიშოდ აღებულ მაგილითებზე მუ-  
2.

შაობის პროცესი, მასწავლებელს თვითონ არ ჰქონდა გაკვეთებულის მაგალითები, რომელთა გადაწყვეტა გაკვეთილზე განიზღაულია მის გამო ზოგიერთი მათგანი მოსწავლეებმა და მასწავლებელმა ვერ ვადაწყვიტეს, რის გამოც მასწავლებელი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგალითად, ვერ შეაღვინეს მიმდევრობის  $\frac{1}{2}$ ,  $\frac{1}{4}$ ,  $\frac{1}{8}$  ... ზოგადი წევრის ფორმულა. გაუჭირდათ ლურჯ რიცხვთა მიმდევრობის ზოგადი წევრის ფორმულის შედგენა. მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით არასწორად განსაზღვრეს სასრულო და უსასრულო მიმდევრობანი და სხვ. სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა თიანეთის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ ნ. დულუზაურის მიერ IX კლასში ჩატარებული ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი, მას გაუჭირდა კლასისათვის აქსნა და დაესაბუთებინა ერთნაირი აზრის უტოლობათა წევრობლივი შეკრების და სხვადასხვა აზრის უტოლობის წევრობლივი გამოკლების კანონი, მასწავლებელი ზედმეტად ნერგიულობს და საგნის უცოდინარობას ავლენს. ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა აგრეთვე ზ. რიგიშვილის, ნ. ბურდულის, შ. ტუშურის (ტუშურების საშუალო სკოლა), თ. დიდებაშვილის (ნაქალაქრის საშ. სკოლა), ქ. ხუმარაშვილის (ღულელების საშ. სკოლა) მიერ ჩატარებული გაკვეთილები. მასწავლებელ ნ. ბურდულს და ქ. ხუმარაშვილს მიცემული აქვთ IV კლასში მათემატიკის გაკვეთილები, რომელთაც ახალ პროგრამებზე გადასცვლასთან დაკავშირებით უჭირთ მუშაობა, მით უფრო, რომ ქ. ხუმარაშვილი (ღულელების საშ. სკოლა) დამწყები მასწავლებელია. ამ სკოლაში არის შესაძლებლობა IV კლასს ასწავლიდეს უფრო გამოცდილი მასწავლებელი ჯამაგიძე, რომელსაც IV კლასში მუშაობისათვის მიმდინარე წელს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში კურსები აქვს გავლილი.

შემოწმებულ სკოლებში (გარდა თიანეთის საშუალო სკოლისა) არ დგას მოწოდების სიმაღლეზე მასწავლებელთა, შორის მეთოდური მუშაობა. სკოლებში შექმნილია ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდურმისიები, კომისიებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები, გეგმებში გათვალისწინებული საკითხები ზოგადია და მათი განხილვა მასწავლებლებს მუშაობის გაუმჯობესებაში საკირო დახმარებას ვერ გაუწევს.



ანალოგიური სურათია მათემატიკის საგნობრივი წრეში მუშაობის საქმეში, მათაც თემატიკა არასწორად აქვთ შედგენილი და მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, ტუშურების საშუალო სკოლაში შექმნილია V—X კლასის მოსწავლეთათვის მათემატიკის საგნობრივი წრე (ხელმძღვანელი ზ. ტუშური). წრის მუშაობის თემატიკა ღარიბია, მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე გათვალისწინებულია, რომ წრის წევრებმა მოისმინონ მოხსენება „რიცხვის გაყოფა 11-ზე“.

ტუშურების და ხევსურთსოფლის VIII და X კლასებში შემოწმდა გასულ სასწავლო წლის ბოლოს მათემატიკაში ჩატარებული საგამოცდო წერის შედეგები და ოღმოჩნდა, რომ ნამუშევრები უხარისხოა, უმეტესი მათგანი ერთმანეთისაგან არის გადაწერილი და ხშირად ოდგილი აქვს შეფასების არაობიერტურობის შემთხვევებს.

დამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა თიანეთის საშუალო სკოლაში (მასწ. მ. მალურაშვილი, დ. კაკოშვილი. ფიზიკის კაბინეტი მოწყობილია თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე, შევსებულია საჭირო ინვენტარით და ხელსაწყო-იარაღებით, მოსწავლეები ფიზიკის საპროგრამო მასალის საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ).

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ფიზიკა ტუშურების (მასწ. ზ. რიგიშვილი, შ. ტუშური, დ. დოლიაშვილი), სიმონიანთხევის (მასწ. ნ. არდაზიშვილი) და ხევსურთსოფლის (მასწ. ვ. ჯამაგიძე) საშუალო სკოლებში, საღაც ფიზიკის გაკვეთილები VI—VII კლასებში პედაგოგიური დატვირთვის შევსების მიზნით მიცემული აქვთ მათემატიკის მასწავლებლებს, აღნიშნული მასწავლებლები არ იცნობენ ფიზიკის პროგრამებში მომხდარ ცვლილებებს და არ იმაღლებენ თავიანთი ცოდნის დონეს, წინასწარ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, გაკვეთილებს ატარებენ დაბალ-მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე.

ტუშურების საშ. სკოლის ფიზიკის მასწავლებლები შ. ტუშური, ზ. რიგიშვილი და დ. დოლიაშვილი არასაკმაო ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა საშინაო დაგალებების შესრულების შემოწმებას, IX<sup>1</sup>, IX<sup>2</sup> და X კლასებში. მათ მიერ საშინაო დაგალების რევულების შემოწმება მოხდა ზერელედ. გაძვეთილის მსვლელობის პროცესში შეუმნიერესები დარჩა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას დაგალებად მიჰემული მარტივი ამოცანები ამოუხსნელი

ჭქრინდათ. IX კლასელ მოსწავლეთა ცნიდივიღუალური შემოწმებიდან გამოირკვდა, რომ ისინი ნაკლებად ერქვევიან ფიზიკის ძირითად ცნებებსა და დებულებებში: მათ არ იციან თანაბარი მოძრაობის სიჩქარე, სიჩქარის ერთეულები. ვერ აგებენ თანაბარი მოძრაობის გზის გრაფიკს, სიჩქარის სხვადასხვა (S<sub>1</sub>=2 t, S<sub>2</sub>=t) მნიშვნელობისათვის. ვერ ახერხებენ ცვლადი მოძრაობის საშუალო სიჩქარის გამოანგარიშებას: ვერცერთმა მოსწავლემ და თვით მასწავლებელმაც ვერ გადაწყვიტეს ვ. პ. დემკოვიჩის საკითხებისა და ამოცანების კრებულიდან მიცემული № 23 ამოცანა. ხოლო X კლასელი მოსწავლეები ვერ საზღვრავენ ელექტრულ ველს, მის ძალურდა ენერგეტიკულ მახასიათებლებს. არ იციან ელექტრული მუხრანების, ელექტრული ველის დაძაბულობისა და პოტენციალის ერთეულები და მათი დასახელებანი ერთეულთა CG SE და Si სისტემებში.

ხევსურთსოფლის (მასწ. ვ. ჯამაგიძე) და სიმონიანთხევის (მასწ. ნ. არდაზიშვილი) საშუალო სკოლებში IX—X კლასის მოსწავლეებმა დაბალი მომზადება გამოამუღავნეს. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთაგან დაშვებულ შეცდომებს მასწავლებლებიც ვერ ასწორებენ. მაგ. თვით შასწები აღასტურებენ, რომ თუ ერთმანეთისადმი კუთხით მიმართული მდგრენელი მოძრაობების სიჩქარეებია: V<sub>1</sub>=2  $\frac{\text{მ}}{\text{წმ}}$

და V<sub>2</sub>=3  $\frac{\text{მ}}{\text{წმ}}$ , მაშინ რეზულტატური მოძრაობის სიჩქარე იქნება 5 მ/წმ. ან შეიძლება, რომ 20 წმ-ის განმავლობაში ტყვია მოძრაობდეს შაშხანის ლულაში და მისი მოძრაობის აჩქარება იყოს 30მ/წმ<sup>2</sup> უფრო მეტიც, IX კლასში თვითონაც ვერ განსაზღვრეს მოძრაობათა დამტოვკიდებლობის პრინციპი, ხოლო X კლასში ელექტრული ველის მატერიალურობის საკითხი და სხვ.

ფიზიკის სწავლების საკითხს არასაქმაო ყურადღება მქონევა აგრეთვე ნაქალაქრის (მასწ. ზ. ზურაბიშვილი) და ლულელების (მასწ. მ. ჯამაგიძე) საშუალო სკოლებში, სადაც მასწავლებლები მოსწავლეებს არ იძლევენ ფიზიკის ძირითადი ცნებების და დებულებების საფუძვლიან ცოდნას, სრულიად უგულვებელყოფენ თვალსაჩინოებათა გამოყენებას სწავლებაში და სხვა, ამიტომ მოსწავლეები ფიზიკაში საპროგრამო მასალის დაბალ მომზადებას ავლენენ.



შემოწმებულ სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცევა ფილმებითა და სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნა-განმტკიცების საქმეს. მაგ. ტუშურების (კაბინეტის გამგე შ. ტუშური, ლაბორატორი ლ. ბაკა-შვილი), ნაქალაქარის (კაბინეტის გამგე ზ. ზურაბიშვილი, ლაბო-რანტი თ. ჩოქური) და ლულელების (კაბინეტის გამგე მ. ჯამავიძე, ლაბორატორი ე. სავინაშვილი) საშუალო სკოლებში ფიზიკის კაბი-ნეტისათვის გამოყოფილია თითო არასკმაო ფართობის მქონე ოთახი, რაც ხელსაწყოთა და სხვა სამეურნეო ინვენტარის დამხმა-რე საწყობსაც წარმოადგენს. და მასში მეცადინეობა ნორმალური დარ შეიძლება ჩატარდეს. არსებული ხელსაწყო-იარაღები დარგო-ბრივად არ არის განლაგებული და საინვენტარო წიგნის მიხედვით არ არის მოწესრიგებული მათი აღრიცხვა. არ არის გამოყენებული ტექნიკური საშუალებანი — კინოსაპროექციო აპარატი და სხვ. ხოლო ხევსურთსოფლის და სიმონიანთხევის საშუალო სკოლებში ფიზიკისათვის კლას-კაბინეტებით მოწყობილი, სადაც ნორმალური მუშაობა შეუძლებელია.

არასწორადაა დაგეგმილი ფიზიკის მასწავლებლთა შორის მეთოდური მუშაობა, შემოწმებულ სკოლებში შექმნილია ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელთა მეთოდკომისია, რომლის სამუშაო გეგმა მეტად ზოგადია.

დაბალ დონეზეა დაყენებული მოსწავლეთა წრეობრივი მუ-შაობა ფიზიკაში. ფიზიკის წრე არ არის შექმნილი ტუშურების საშუალო სკოლაში, ხოლო სხვა სკოლებში ჩამოყალიბებულია VI—X კლასის მოსწავლეთა ავგის ერთი წრე, რომლის გეგმაშიც შეტა-ნილია საპროგრამო საკითხები.

სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული ბიოლოგიის სწავლება მირზა გელოვანის სახელობის თანანეთის საშუალო სკოლაში (მასწ. თ. ბაიაშვილი). მასწავლებელი დაუფლებულია საგანს და საგნის სწავლების მეთოდებს. ის ყოველდღიურად ემზადება გაკვეთილები-სათვის, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას, ატარებს პროგრა-მით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს და სადემონსტრა-ციონ ცდებს. მის მიერ მოსწავლეებისათვის დასმული კითხვები წინასწარ მოფიქრებული და კონკრეტული შინაარსისა და ამას-თან ერთად იგი მოსწავლისაგან მოითხოვს სწორ და სრულ პა-სუხს. იგი მოსწავლეთა მიერ დაშვებულ არც ერთ შეცდომას გაუ-სწორებელს არ სტოვებს. მასწავლებლის მიერ VI კლასში ჩატარე-ბული გაკვეთილი თემებზე: პარკოსანთა თჯახი (ლობიო, სოია)

პედაგოგიურ-მეთოდური თვალსაზრისით სწორად იყო წარმატებული. მოსწავლეები კარგად ერკვევიან საკითხებში: როგორი აგენტულები გააჩნიათ იმ მცენარეების ყვავილებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ვარდისებრთა ოჯახს, რა თვისებებით განსხვავდებიან ერთ-მანეთისაგან ორლებნიანი და ერთლებნიანი მცენარეები.

გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება ბიოლოგიის სწავლება სოფ. ნაქალაქრის საშ. სკოლაში (მასწ. მ. წიქარაძე), სოფ. ხევსურთ-სოფლის საშ. სკოლაში (მასწ. გ. ბუჯიაშვილი) და სოფ. სიმონიანთხევის საშ. სკოლაში (მასწ. ლ. ტაბატაძე).

მასწ. ტაბატაძის გაკვეთილის გეგმა ფორმალურ ხასიათს ატარებს. გეგმაში გადასაცემი მასალა კითხებად არის დანაწილებული, მაგრამ არ არის მითითებული იმაზე, თუ რა მეთოდი და რა დიდაქტიკური მასალა იქნება გამოყენებული ამა თუ იმ გაკვეთილზე.

X კლასის მოსწავლეთა ცოდნა ძალზე დაბალია—ისინი ვერ ერკვევიან რომელ წიგნში ჩამოაყალიბა უან ბატისტ ლამარკმა თავისი ევოლუციური იდეები და რომელ წელს გამოვიდა ეს წიგნი, რომელ წიგნში ჩამოაყალიბა ჩარლზ დარვინმა თავისი ევოლუციური იდეები და რომელ წელს გამოვიდა ეს წიგნი, რამ განაპირობა, რომ ჩ. დარვინმა გადაწყვიტა ხუთი წლით ემოგზაურა 1831—1836 წ.) გემ „ბიგლით“ დედამიწის გარშემო? —

რატომ არის, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევოლუციის იდეები პირველად ჩამოაყალიბა ლამარკმა, მაინც დარვინი ითვლება ევოლუციური მოძღვრების მამამთავრად. წარმოლგენა არა აქვთ მალთუსის მოძღვრების ჩარტულ არსებებს.

მასწ. გ. ბუჯიაშვილის მიერ ჩატარებული გაკვეთილებიც გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება. მაგ. X კლასში გადასაცემი მასალა—„პირველი რუსი ევოლუციონისტები“, —ისე გადასცა, რომ არაფერი უთქვამს რადიშჩევის ფილოსოფიურ შეხედულებებზე, კავერზნევის ნაშრომშე „ცხოველთა გარდაქმნის შესახებ“, მეტად ბუნდოვნად ისაუბრა რუს ევოლუციონისტ რულიეზე და სხვ. სწორედ ამით აისწნება ის გარემოება, რომ მოსწავლეები ვერ სცემენ პასუხს რაში მღვმარეობს ჭ. ლინეის შრომების მნიშვნელობა მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის? რას თელიდა ლამარკი ევოლუციის მამოძრავებელ ძალად? როგორ ხსნიდა ლამარკი სახეობათა მრავალფეროვნებას და გარემოს კონკრეტული პირობები-სადმი ცოცხალ არსებათა შეგუებას?



მასწ. მ. წიქარაძე გაკვეთილზე ნაკლებად იყენებს თვალისწილებას ჩინოებას. V კლ. ახალი მასალა: „ნაყოფი და თესლი, მათი გავრცელების სამარჯვები“ ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე ახსნა. არ გამოყენებია სურათები, ნატურალური ობიექტები და საპერშარიუმო მასალა. ასეთნაირი მუშაობით უნდა იისნას ის გარემოება, რომ მოსწავლეები ყვავილის აგებულების დახასიათებისას ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ ბუტკოს და მტვრიანას, არ იციან, რომ ხორბლის ყვავილებს თავთავი ეჭოდება, სიმინდასას—ტარო, ცირცვლისას—ფარი, სტაფილოსას—ქოლგა, ხოლო მზესუმშირისას კიდევ კალათა, ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ ყვავილს და ყვავილებს და სხვ.

შესწავლილი სკოლების (სოფ. ლულელების, სოფ. სიმონიანთხევის, სოფ. ხევსურთსოფლის, სოფ. ნაქალაქრის და სოფ. ტუშურების საშუალო სკოლების) სასწავლო-მატერიალური ბაზა ძალზე დარიბია. ამ სკოლების ბიოლოგიის კლასეკაბინეტებში საქმაოდ არ არის წარმოდგენილი მწვანე მცენარეები, ხოლო რაც არის, არც იმათ გააჩნიათ სწორად გაფორმებული ბიოლოგიური პასპორტი; არ არის მოსწავლეთა ძალებით შეგროვილ-დამუშავებული თვალსაჩინო მასალები, მაშინ, როდესაც ამ საქმის მოწესრიგება მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა სასკოლო ბიოლოგიის კლას კაბინეტებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა ბიოლოგიის უკეთ სწავლების საქმეს.

აღნიშნულ სკოლებში გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება ბიოლოგიური წრეების მუშაობაც; ამ წრეებში არ არიან გაერთიანებული VII—X კლასის მოსწავლეები.

აღნიშნულ სკოლებს გააჩნიათ სასწავლო მიწის ნაკვეთები, მაგრამ ნაკვეთების გამოყენება ბიოლოგიის სწავლების მიზნით არ ხდება; სკოლებს არ გააჩნიათ მოსწავლეთა ასაქის შესაბამისი სამუშაო იარაღები, რაც თავის მხრივ გარკვეულ გავლენას ახდენს მოსწავლეებში ნაკვეთზე მუშაობის სიყვარულის გამომუშავებაზე და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე.

სკოლებს არ გააჩნიათ ჩატარებული პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების აღრიცხვა. საინჟინერო ინჟინერული წიგნები ერთმანეთში არ ეულად არის წარმოდგენილი ის თვალსაჩინო მასალა, რაც სკოლებს გააჩნიათ ბიოლოგიაში, ყოველივე ეს აძნელებს საინჟინერო ინჟინერული წიგნის პრაქტიკულად გამოყენების საქმეს.

ბიოლოგიაში ახალი პროგრამის მოთხოვნილების შესაბამისად  
ძირითადი აქცენტი გადატანილია ლაბორატორიული პრაქტიკულების  
ბის ჩატარებაზე და თვალსაჩინოების ნაყოფიერად გამოყენებაზე;  
თიანეთის რაიონის შესწავლის სკოლებში ბიოლოგიის კაბინეტების  
ბის დღევანდელი აღჭურვილობა ვერ აკმაყოფილებს ახალი პრო-  
გრამის მოთხოვნილებებს, აქედან ბუნებრივია გამომდინარეობს ის,  
რომ ეს გარემოება გარკვეულ დაღს ასევე რაიონის სკოლებში  
ბიოლოგიის საფუძვლიანად შესწავლის საჭიროა.

თიანეთის საშ. სკოლის ქიმიის მასწ. ს. იმერლიაშვილი ყო-  
ველდღიურად ეჭხადება გაეცეთილებისათვის და არც ერთ გაკვე-  
თილს არ ატარებს თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე. კარგი  
იყო მის მიერ VIII კლასში ჩატარებული გაკვეთილი — „მუავეების  
ქიმიური თვისებები“. მასწავლებელმა ამ მასალის ახსნისას ჩატარა  
სადემონსტრაციო ცდა, რომლის საშუალებითაც მოსწავლეებს უჩ-  
ვენა Na-ის მოქმედება მარილმჟავას კონცენტრირებულ ხსნარზე,  
ამისათვის სინჯარაში ჩასხსა ცოტაოდენი მარილმჟავას კონცენტრი-  
რებული ხსნარი, სინჯარა დაამაგრა შტატივზე და მუავაში მო-  
თვასა Na-ის გასუფთავებული პატარა ნაჭერი.

მოსწავლეების ყურადღება გამახვილებული იყო რეაქციის  
მსვლელობაზე, რომლის პროცესშიც მასწავლებელმა ანთებული  
კვარით შეამოწმა წყალბადის გამოყოფა (რაც შეიმჩნევა იმით, რომ  
კვარი იწვის ფეთქვით), ამავე დროს სინჯარაში დიდი რაოდენო-  
ბით დაილექტა თეთრი კრისტალური ნივთიერება — სუფრის მა-  
რილი.

მასწავლებლის დამაჯერებელი ახსნის შედეგად მოსწავლეები  
ერთხელ კიდევ აღადგინეს წინა კლასში მიღებული ცოდნა მუავეე-  
ბის ქიმიური თვისებების შესახებ, რომ მუავეებს მუავე გემო აქვთ,  
მათი ხსნარი ლაგმუსს აწითლებს, ფერნფტალეინს ფერს არ უცე-  
ლის, ისინი ურთიერთობენ მეტალებთან, რის შედეგად მიიღება  
მარილი და წყალბადი. მუავის და ტუტის ურთიერთმოქმედებისას  
მიმდინარეობს ნეიტრალიზაციის რეაქცია და ა. შ.

ასევე ენერგიულად და საჭირო დიდი ცოდნით მუშაობს მო-  
წავლეებთან პ. საგინაშვილი (ლულელების საშ. სკოლა). მის მიერ  
ჩატარებული გაკვეთილი VIII კლასში თქმაზე: „ფუძეები და მისი  
თვისებები“ მეთოდურ-პედაგოგიური თვალსაზრისით გამართულ  
იყო. მინ კარგად და დამაჯერებლად აუხსნა მოსწავლეებს, რო-



ფუძის მოლექულა შეიცავს შეტალს და შასთან დაკავშირებული ერთი ან რამოდენიმე ჰიდროქსილის ჯგუფს; ამასთან ერთად მოწირებული დაუდასტურა თუ რატომ არის ჰიდროქსილის ჯგუფი ერთვალენ-ტიანი და თუ რატომ არის, რომ მის მოლექულაში შეტალს ატომ-თან ერთი ან რამოდენიმე ჰიდროქსილის ჯგუფია დაკავშირებული. ყოველივე ამის შემდეგ ჩამოაყალიბა განსაზღვრება ფუძების შე-სახებ. მან კარგად და საფუძვლიანად განუმარტა მოსწავლეებს ის განსხვავება, რომელიც არსებობს ფუძესა და ტუტეს ზორის, რომ-ლის დროსაც შევამებული სახით მიაწოდა მათ, რომ ისინი წარ-მოადგენ წყალში ძლიერ კარგად ხსნად მყარ ნივთიერებებს, წყალში გახსნის ღრის გამოყოფენ დიდი რაოდენობით სითბოს და ანეიტრალებენ ყველა მუავას. ცხიმებთან მათი ურთიერთშედებისას მიიღება წყალში კარგად ხსნადი საპონი. ყოველივე ამის შემდეგ ისაუბრა მათი გამოყენების შესახებ მრეწველობასა და ყოველ-დღიურ ცხოვრებაში. ჩაატარა სადემონსტრაციო ცდები ტუტეების ინდიკატორებზე მოქმედების შესახებ და მათი ურთიერთმოქმედე-ბის შესახებ მუავებთან (ნეიტრალიზაციის რეაქცია). მოსწავლეთა ცოდნა მყარი და საფუძვლიანია.

გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება ქიმიის სწავლება სოფ. ხევსურთსოფლის საშ. სკოლაში (მასწ. ვ. ბუჯიაშვილი), სოფ. სიმო-ნიანთხევის საშ. სკოლაში (მასწ. ვ. ცოცხალაშვილი), სოფ. ნაქა-ლაქრის საშ. სკოლაში (მასწ. მარგო წიქარაძე) და სოფ. ტუ-შურების საშ. სკოლაში (მასწ. დ. თანიაშვილი).

აღნიშნული მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ საჭუთარ მეთოდურ-პედაგოგიური ცოდნის ამაღლებაზე, გაკვეთილებს ატა-რებენ ზერელებ და მოუფიქრებლად, სათანადო ყურადღებას არ აქცივენ გაკვეთილებზე თვალსაჩინოების (ტექნიკური საშუალებე-ბის) გამოყენების საქმეს და არ იჩენენ მონაცემებას ქიმიის კაბი-ნეტის შევსებისათვის. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოსწავლეები ელემენტარულ კითხვებზე იძლევიან ბუნდოვან და არადამაქმაყოფილებელ პასუხებს.

ზემოთ მითითებულ სკოლებში ქიმიის სწავლების საქმეს ხელს უშლის ისიც, რომ მათ არ გააჩნიათ ქიმიის კაბინეტ-ლაბორატო-რიები; უკეთეს შემთხვევაში ამ სკოლებში არის კომბინირებული (ქიმია-ბიოლოგიის) კაბინეტ-ლაბორატორიები.

არადამაქმაყოფილებლად არის შედგენილი სკოლებში ქიმიის წრის სამუშაო გეგმები, გეგმით გათვალისწინებული საკითხები



თეოტოცული ხასიათისაა. ამ არის გათვალისწინებული თვითშემცველებული ხელსაწყოების დამზადება.

კარგადა დაკენებული ისტორიის სწავლება თიანეთის საშ. სკოლაში. მასწავლებელი რ. იარაჯული ბეჯითად ემზადება თითეული გაკვეთილისათვის, მოხდენილად იყენებს სწავლებაში თვალსაქინოებასა და ტექნიკურ საშუალებებს, მიმზიდველად და გასაგებად ხსნის გაკვეთილის მასალას. მოსწავლებმა შეგნებულად იციან ისტორიული მოვლენების მიზეზ-უდედევობრივ კავშირში. IX ვიან ისტორიული მოვლენების მიზეზ-უდედევობრივ კავშირში. ასევე კლასის მოსწავლებმა შეგნებულად გადმოსცეს საფრანგეთ-პრუსკლასის მოსწავლებმა შეგნებულად გადმოსცეს საფრანგეთ-პრუსკლასის მიზეზები და საბაბი, ბისმარკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. სამთა კავშირისა და ანტანტის შექმნა და სხვ. ასევე კარგად ასწავლის ისტორიას ამავე სკოლის მასწავლებელი ი. მგერა ლიაშვილი, VII კლასის მოსწავლეებს საქართველოს ისტორიაში ზუსტად ჰქონდათ აღნიშნული ქონტურულ რუკაზე ის აღილები, სადაც აღმოჩენილია წინაგვაროვნული საზოგადოების აღმიანთა ნაკვალევი. ქვედა იაშტუხა (ქ. სოხუმის ახლოს), სოფ. რუხი (ზუგდიდის რაიონი), წოთი (მარნეულის რაიონი), ჭოლოვანი (ჭიათურის რაიონი) და ა. შ. დამაკმაყოფილებლად ასწავლის ისტორიას ნაქალაქრის. საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. არჩემაშვილი. X კლასის მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად გადმოსცეს სსრ კავშირის სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმა, სოციალისტური ინდუსტრიის განვითარება, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუციის განხორციელება, I, II და III ხუთწლედის ძირითადი იმოცანები და შეფეხები.

ასევე დამაკმაყოფილებლად ასწავლის ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობას სიმონიანთხევის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი ბ. ქაშიაშვილი. X კლასის მოსწავლეებმა საზოგადოებათმცოდნეობაში დამაკმაყოფილებლად განმარტეს მარქსიზმის წარმოშობის ისტორიული წინამდღვრები, მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელი ნაწილები და მისი მთავარი გარდამქრელი როლი, მარქსისტული დიალექტიკის კანონები და დიალექტიკა როგორც სინამდვილის შემცნებისა და გარდაქმნის მეთოდი და ა. შ.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ისტორიას აგრეთვე ხევსურთ-სოფლისა და სიმონიანთხევის საშუალო სკოლების მასწავლებლები მ. ფიცხელაური და ქ. პატურაშვილი.



სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების შეთთას ნება  
ლაქარის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. გაბილაური. პრი  
კლასში არასწორად იქნა განმარტებული სამრეწველო გადატრია-  
ლების ორი მხარე, მწარმოებლური ძალები და წარმოებითი ურთი-  
ერთობანი, წარმოების საშუალებები. ჯორჯ ვაშინგტონის პოლი-  
ტიკი, 1774 წ. ფილადელფიის კონფერენცია. 1773 წლის ბოსტო-  
ნის ხოცვა—ბოსტონის ჩაის სმა. 1765 წლის საგერბო გამოსაღე-  
ბის კანონი და ა. შ. ასევე ისტორიული ფაქტებისა და მოვლენე-  
ბის არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამუდავნეს ღულელების  
საშ. სკოლის V კლასის (მასწ. ე. აფხაზიშვილი) მოსწავლეებმა.  
მათ ვერ განმარტეს რა არის ისტორია, რას მოგვითხობს ძველი  
მსოფლიო ისტორია, რა არის არქეოლოგია, რატომ გაუჩნდა პირ-  
ველყოფილ ადამიანს რელიგიური რწმენა, რა ზებუნებრივი ძალე-  
ბი სწომდათ პირველყოფილ ადამიანებს, რა ზიანი მოპქონდა ამ  
რწმენას და ა. შ. ასევე დაბალი მომზადება გამოამუდავნეს საზო-  
გადოებათმცოდნეობაში ამავე სკოლის X კლასის (მასწ. ქ. ჭიძე-  
რაული) მოსწავლეებმა. მათ არ იციან მარქსიზმის წარმოშობის  
ისტორიული წინამდლოვრები. ბუნებასა და საზოგადოებაზე შეხედუ-  
ლებებში მარქსიზმის მიერ განხორციელებული რევოლუციური გა-  
დატრიალების მნიშვნელობა. მარქსიზმ-ლენინიზმის შემადგენელი  
ნაწილები მატერია და მისი არსებობის ძირითადი ფორმები, დია-  
ნაწილები კანონები და ა. შ. ასევე არადამაკმაყოფილებელი მომ-  
ზადება გამოამუდავნეს საზოგადოებათმცოდნეობაში ტუშურების  
საშ. სკოლის X კლასის (მასწ. შ. ფილაური) მოსწავლეებმა.

კარგადაა დაყენებული გეოგრაფიის სწავლება თიანეთის საშ.  
სკოლაში. VII კლასის (ზასწ. ვ. არდაზიშვილი) მოსწავლეებმა ზუს-  
ტად დაახასიათეს ქსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები. ყველა  
მოსწავლეს აქვს გეოგრაფიული ატლასები და კონტურული რუ-  
კები და ზუსტად ასრულებს პროგრამით გათვალისწინებულ სა-  
მუშაოებს. მოსწავლეები ახდენენ დაკვირვებას ბუნებაზე და აღგე-  
ნენ კალენდარს. ასევე კარგადაა დაყენებული გეოგრაფიის სწავ-  
ლება სიმონიანთხევის საშ. სკოლაში. მასწ. თ. ბარაშვილი გულმოღ-  
ლება გინედ ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის და მაღალ აკადემიურ  
დონეზე პრარებს მას, მოსწავლეებს აძლევს მტკიცე და საფუძ-  
ლიან ცოდნას. VIII კლასის მოსწავლეებმა კლიმატური რუკის მი-  
ზადებით ზუსტად განსაზღვრეს იანვრის საშუალო ტემპერატურები  
მდინარე ნევის შესართავსა და ვოლგის შესართავში და ახსნეს

რატომ არის აქ ასეთი ტემპერატურები. ასევე შეგნებულად მომზადების საფუძვლის გვრცელები ნაწილში სად მოდის მეტი ნალექი და სად ნაკლები? რაზეა ეს დამოკიდებული და ა. შ.

სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდს ტუშ-რების საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწ. ნ. ცაცაბაშვილი. VIII კლასში მასწავლებლის მიერ არასწორად იქნა დასახელებული ევროპის სოციალისტური სახელმწიფოები. გდანსკის უბის ნაცვ-ლად ასახელებს რიგის უბეს, არ განუმარტა მოსწავლეებს, რომ სსრ კავშირის ფართობის სიღადე მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყ-ნის სახელმწიფოებრივ, -სამეურნეო, კულტურული ცხოვრებისა და მოსახლეობის ისტორიულ ბეღში, რომ სიმდიდრის მრავალფეროვ-ნება ხელს უწყობს ქვეყნის სწრაფ განვითარებას. მოსწავლეებმა ვერ შესძლეს სსრ კავშირის საზღვრების შემოხაზვა, ვერ უჩვენეს ჩელუსკინის კონცენტრაციონული მიწა, ბერინგის სრუტე და ა. შ. VI კლასის მოსწავლეებმა კი ვერ განსაზღვრეს აფრიკის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურება, აფრიკის განფენილობა გრადუსობითა და კილომეტრობით ჩრდილოეთიდან სამარეთისაკენ, ვერ უჩვენეს რუკაზე საით მიღიოდა სამგზავრო გზა ევროპიდან სამხრეთ აზიაში სუეცის არხის გაყვანამდე და გაყვანის შემდეგ. ვერ გაარკვიეს რუკაზე ვასკო და გამას გზა აფრიკის ირგვლივ და-ლივინგსტონის და იუნკერის მოგზაურობათა მარშრუტები, რატომ იყო, რომ აფრიკის შიგა ნაწილებში ევროპელებმა დიდხანს ვერ შეაღწიეს და სხვ.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გეოგრაფიაში ღუ-ლელების საშუალო სკოლის VI კლასის (მასწ. ქ. ჭიჭარაული) და ნაქალაქარის საშუალო სკოლის VIII კლასის (მასწ. ნ. დავითაშვი-ლი)-მოსწავლეებმა. აღნიშნული სკოლების მოსწავლეებს არ გააჩ-ნიათ გეოგრაფიული ატლასები, კონტურული რუკები. სკოლებში არაა მოწყობილი გეოგრაფიის მოედნები და არ წარმოებს დაკვირ-ვება ბუნებაზე.

ცალკეული საგნების სწავლებაში არსებული სერიოზული ნაკლოვინებები შედეგია იმისა, რომ სუსტად შინა სასკოლო კონ-ტროლი და ხელმძღვანელობა. ტუშურების საშუალო სკოლის დი-რექტორმა შ. ფილაურმა ვერ გვიჩვენა 1970—1971 სასწავლო წელს მოსმენილი გაცვეთილების ანალიზები, ხოლო მიმდინარე სასწავლო წელს მოსმენილი პეტონდა მხოლოდ ერთი გაცვეთილი, მავე სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის

დარგში დ. დოლიაშვილს გასულ სასწავლო წელს მოსმენილი არის მხოლოდ 11 გაკვეთილი, მიმდინარე სასწავლო წელს 6 გაკვეთილი, ამ ნაკლის დასაფარავად ის შეეცადა წარმოედგინა წინა წლებში მოსმენილი გაკვეთილების ანალიზების რვეული, სადაც ამოფხევილია სასწავლო წელი, მასწავლებლების გვარი და სახელი და ჩაწერილია მასწავლებლები, რომლებიც გასულ წელს ასწავლიდნენ ამ კლასებს.

მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გასულ და მიმდინარე სასწავლო წელს გაკვეთილები სიმონიანთხევის საშუალო სკოლის დირექტორს პ. პატურაშვილს (21), დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ნ. დავითაშვილს (39), ღულელების საშ. სკოლას დირექტორს პ. საგინაშვილს (21). დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში მ. ბექაურს გასულ სასწავლო წელს მოსმენილი გაკვეთილების ანალიზები არ აღმოაჩნდა, მ/წელს კი მოსმენილი ჰქონდა მხოლოდ 3 გაკვეთილი, ნაქალაქარის საშ. სკოლის დირექტორს მ. არჩემაშვილს (25), დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ე. ზურაბიშვილს 49. ისინი არ ემზადებიან გაკვეთილებზე დასწრებისათვის, ვერ წვდებიან ცალკული. მასწავლებლების მუშაობის შინაარს. ვერ ახერხებენ გაერკვნენ, თუ რა სტკივათ, რა აშუბებთ, რა დახმარება სჭირდებათ მასწავლებლებს, გაკვეთილების ანალიზებში არ ჩანს გაკვეთილის იდეური, აკადემიური და მეთოური მხარეები, ისინი მხოლოდ გაკვეთილების მსვლელობის ფიქსაციას წარმოადგენენ. ზოგჯერ კი მათი გაკვეთილებზე დასწრების ჩანაწერები მეცნიერულად გაუმართდებელი და შეუსაბამოა, მაგალითად, ხევსურთსოფლის საშ. სკოლის დირექტორის მოადგილის მ. დავითაშვილის ერთ-ერთი გაკვეთილის ანალიზში ვკითხულობდ: „გოგირდმუკა დაიშლება გოგირდად და წყლად“. ხოლო ტუშურების საშ. სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო მუშაობის დარგში დ. დოლიაშვილის ბიოლოგიის გაკვეთილის ანალიზში ჩაწერილია: „ახალი მასალა (ვაზი) მასწავლებელმა ახსნა თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე. ახალი მასალა მოსწავლეებმა კარგად აითვისეს“ და ა. შ.

ტუშურების (დირექტორი შ. ფილაური), სიმონიანთხევის (დირექტორი პ. პატურაშვილი), ხევსურთსოფლის (დირექტორი მ. ფიცხელაური), ნაქალაქარის (დირექტორი მ. არჩემაშვილი), ღულელების (დირექტორი პ. საგინაშვილი) საშუალო სკოლებში სჭირო ყურადღება არ ექცევა გეკმიანობას. წლიურ სამუშაო გეგ-

მეგში არ ჩანს ცალკეული საგნების სწავლების, სწავლებაში ფორმულა  
საჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების, საპროფესიო  
მასალების გავლისა და ათვისების ხარისხის, მოსწავლეთა იდეური,  
ესთეტიკური აღზრდის საკითხების შემოწმება, მას პედაგოგიურ  
საბჭოს სხდომებზე ფორმალურად იხილავენ, არაა წარმოდგენილი  
მასწავლებლების საქმიანი წინადადებები, თუ რა სახის საკითხები  
წარმოაყენეს მათ დამატებით, ამგვარად, გეგმები არ წარმოადგენს  
მასწავლებლთა კოლექტური აზრის ნაყოფს, საერთო გეგმებში  
საკითხები კონკრეტულად არაა მოცემული, არ ჩანს რა უნდა გა-  
კეთდეს, როდის და ვის მიერ უნდა შესრულდეს, ნაცვლად კალენ-  
დარული ვადებისა ჩაწერილია „სისტემატურად“, მეოთხედის ან  
სასწავლო წლის განმავლობაში“ და ა. შ. გეგმებში არაა გათვა-  
ლისწინებული თუ რა ლონისძიებებს გაატარებს სკოლის დირექ-  
ცია, ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლასთან  
ცია, უფრო მეტიც, ლულელების საშუალო სკოლის გეგ-  
მაში ისეთი ლონისძიებაც არის გათვალისწინებული, რომელიც  
პედაგოგიური თვალსაზრისით გაუმართლებელია. მაგ. ჩამორჩენილ  
მოსწავლეთა მიმაგრება ძლიერ მოსწავლეებთან ან მასწავლებლე-  
ბის მიერ დამატებითი მუშაობა ძლიერ მოსწავლეებთან. ზოგჯერ  
წლიური გეგმები გასული წლის გეგმების ასლს წარმოადგენს. მაგ.  
ნაქოლაქარის საშუალო სკოლის გეგმაში გათვალისწინებულია  
„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლის-  
თვის მზადების“ საკითხი. ასევე ზოგადი და ტრავარეტულია  
აღნიშნული სკოლების კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები. მაგ.  
ტუშურების, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფლის, ლულელების, ნა-  
ქალაქარის საშუალო სკოლებში. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენე-  
ბული პედაგოგიური საბჭოების მუშაობა. გასული სასწავლო წლის  
მეოთხედებისა და წლის შედეგების განხილვისას არ არის განაილი-  
ზებული სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული სერიო-  
ზული ნაკლოვანებანი და არაა დასახული კონკრეტული ლონისძიე-  
ბანი მის გამოსასწორებლად. სხდომებზე არაა განხილული ცალკე-  
ული საგნების სწავლებისა, სწავლებაში თვალსაჩინოებისა და  
ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებისა და კლასის ხელმძღვანელო-  
ბის მუშაობის საკითხები. ტუშურების საშ. სკოლის დირექცია  
ნაცვლად იმისა, რომ ავლენდეს მასწავლებელთა მუშაობაში არსე-  
ბულ მოუთმენელ ნაკლოვანებებს, აკადემიური ჩამორჩენილობის  
შეზღად შეოჩენილთა. უყურალებობას სახელებს. პედაგოგიური



საბჭოები ნაკლებად იბრძვიან აქადემიურად ჩამორჩენილ შემთხვევაში, წლიან მოსწავლეთა გამოსასწორებლად. ღულელების საშ. სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმში ვკითხულობთ: „მასწავლებლებთ ან მუშაობა ინტერესმოცლებულია, მათ ხელი აქვთ ჩაქნეული სუსტ მოსწავლებზე, იარაღი დაყირებული და ფიქრობენ, ვითომდა ორო - სანთა გამოსწორება შეუძლებელია. ხშირად გავიგონებთ ასეთ გა- მოთქმას „სწავლა არ უნდა და მე რაგენაო“ და ა. შ.

სიმონიანთხევის საშუალო სკოლაში ზოგიერთი მასწავლებე- ლი იჩენს უდისციპლინობას, იგვიანებს გაკვეთილებზე. ნაცვლად იმისა, რომ ასეთი მასწავლებლების მიმართ მიღებულ იქნას მკაც- რი: ზომები პედაგოგურ საბჭოს სხდომაზე ასეთი მასწავლებლების გვარების დასახელებასაც კი ერიდებიან. ოქმში წერია: „მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, რომ მასწავლებლები იგვიანებენ გაკვეთილებზე, განსაკუთრებით გაკვეთილების ირანორმალურ ჩა- ტარებას აღიღილი იქს მეორე ცვლაში“. ზოგჯერ პედაგოგიური საბჭოს გეგმაში გათვალისწინებულია პედაგოგიურად გაუმართლებე- ლი საკითხები: ხევსურთსოფლის საშუალო სკოლის გეგმაში გათვა- ლისწინებულია მოსწავლეთა ყოფაჯცევაში ნიშნების დაკლება, მა- შინ, როდესაც სკოლა ისე უნდა მუშაობდეს, რომ არ მოხდეს მო- სწავლეთა მიერ ყოფაჯცევის წესების დარღვევის შემთხვევა.

ტუშურების, სიმონიანთხევის, ხევსურთსოფლის, ღულელე- ბის, ნაქალაქარის საშ. სკოლებში მეთოდურად გაუმართავად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი. ზოგი დღე ძნელად ასა- თვისებელი საგნებით არის გადატვირთული, ზოგი კი შედარებით ითლად ასათვისებელი საგნებით, სასწავლო დღეები თანაბარი სიძ- ლიერის საგნებით არ არის დატვირთული, ორი და სამ საათიანი დისციპლინები ცხრილში უშუალედოდ არის მოქცეული, ერთ საა- თიანი დისციპლინები ორშაბათს და შაბათს ისიც მე-6 გაკვეთი- ლებად არის მიცემული, ერთფეროვანი საგნები, მაგალითად, მათე- მატრიკური დისციპლინები, ან ენები ცხრილში მიჯრით არის მოქ- ცეული. საგნების სახელწოდებები ზუსტად არაა შეტანილი და ა. შ.

ორნიშნულ სკოლებში არ იწერება ბრძანებები სასწავლო- აღმზრდელობით საკითხებზე.

არაწესიერად არის წარმოებული საკლასო უურნალები, მეო- თხედურ და წლიურ ნიშნებს ხელს არ აწერენ მასწავლებლები, საკონტროლო წერის თემები და ნიშნები არაა შეტანილი. აღვილი აქვს ნიშნების გადასწორების, ამოფხევის შემთხვევებს, მეოთხედუ-

რი ნიშნების გამოყვანა არ ხდება მიმღინარე ნიშნების საფუძველზე. მოსწავლეებს მიმღინარე შეფასებაში უწერიათ ნიშანების სის ხოლო მეოთხედის ბოლოს გამოყვანილი აქვთ შეფასება „4“ და „3“. არის შემთხვევები, როდესაც ერთ გაკვეთილზე მასწავლებლები არის შეტანილი 10—20 არაღამაკმაყოფილებელ შეფასებას და ხსნიან ახალ მასალას.

ზოგჯერ საკლასო ურნალებში არ შეაქვთ დამუშავებული გასალა. ტუშურების საშ. სკოლის X კლასის გასული წლის საკლასო ურნალში შეტანილი არ არის წლიური, საგამოცლო და საბოლოო ნიშნები. ზოგიერთ სკოლაში, სათანადო სიმაღლეზე არ დგას დისციპლინა. დიდია მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. შემოწმების დღისათვის ტუშურების საშუალო სკოლაში არ გამოცხადებული 51 მოსწავლე, ხოლო ნაქალაქრის საშუალო სკოლაში 54 მოსწავლე.

### შ. ლომიძე (ხელმძღვანელი)

- შ. ქურციკიძე
- დ. შახარაძე
- ი. პეტრენკო
- გ. გორგობიანი
- გ. ჯავახაძე
- თ. ხურცილავა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
13 ორგმბრის ბრძანება № 605

დამხმარე სკოლების დაწყებითი კლასების ახალი  
პროგრამების დამტკიცების შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1970 წ.  
13 ნოემბრის № 30/2 გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ  
განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 19 იანვრის № 1  
დადგენილების შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცეს დამხმარე სკოლის დაწყებითი კლასების ახა-  
ლი პროგრამები ქართულ და რუსულ ენებში, არითმეტიკაში,  
სახვით ხელოვნებაში, სიმღერა-მუსიკასა და ფიზიკულტურაში.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმარ-  
თველომ (ამხ. რ. კანდელაკი) რესპუბლიკურ მეთოდური განერაციის  
(ამხ. მ. ყოლბაძი) ერთად:

ა) 1971 წლის 10 ნოემბრამდე უზრუნველყოს დამტკიცებული  
პროგრამების დაბეჭდვა და აღგილებზე დაყვანა;

ბ) ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით მიმდი-  
ნარე სასწავლო წლის დამლევამდე შეისწავლოს დამხმარე სკოლა-  
ინტერნატების დაწყებით კლასებში სწავლების მიმდინარეობა და  
შედეგი მომახსენოს;

გ) ა/წლის I-ელ ნოემბრამდე შეადგინოს და კოლეგიაზე და-  
სამტკიცებლად წარმოადგინოს ორიგინალური და რუსულიდან სა-  
თარგმნელი სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმა 1972—1975  
წლებისათვის.

နေဖြူဆွဲလုပ်ငန်း ပါရီယာရတေသနရေးလုပ်ငန်း၊  
ကျေလျှောက်စွဲမှုပိုင် ၁၉၇၁ ခုနှစ်၊ ၈ ဧပြီလ  
တွင်ဖော်ပြန်ခဲ့သည့် လုပ်ငန်း။

ပါရီယာရတေသနရေးလုပ်ငန်း၊  
မိမိအောက်ဖော်ပြန်ခဲ့သည့် လုပ်ငန်း။

## ПРИКАЗ № 603

### ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 12 ОКТЯБРЯ 1971 ГОДА

О мероприятиях по обеспечению сохранности денежных средств и товарно-материальных ценностей на предприятиях и организациях Министерства просвещения Грузинской ССР

Отметить, что проведенными ревизиями и проверками финансово-хозяйственной деятельности учреждений и организаций республиканского подчинения за 9 месяцев 1971 г. установлено, что за отчетный период были произведены незаконные расходы в сумме 3637 руб. и выявлено растрат и недостач 1540 руб. против 26685 руб. и 5743 рубля соответственно за прошлый год.

Наличие указанных нарушений явилось следствием отсутствия необходимого контроля за обеспечением сохранности государственной себестоимости со стороны дирекции некоторых учреждений.

Не выполняется указание о ежемесячной инвентаризационной проверке складского хозяйства в учреждениях, не введена пропускная система на территории баз, исключающая ввоз и вывоз неучтенных товарно-материальных ценностей.

Все еще имеет место недостаточный технический контроль за строительством объектов просвещения со стороны инженеров-технадзора.

ПРИКАЗЫВАЮ:

Министерству  
просвещения Грузинской ССР учреждений:

1. Руководителям всех подведомственных Министерству просвещения Грузинской ССР учреждений:

а) в месячный срок проверить сохранность товарно-материальных ценностей и денежных средств на всех подчиненных им организациях и обеспечить осуществление мероприятий, исключающих возможность растрат, хищений и нарушений финансовой дисциплины;

б) не допускать хранение денежных средств вне учреждений Госбанка, сдавать в банк всю наличность к концу дня;

в) обязать подчиненные им организации не реже одного раза в месяц производить опись складского хозяйства с составлением сличительных ведомостей.

2. Управлению снабжения и подсобных предприятий (тов. Арвеладзе С.):

а) проверить на всех предприятиях Министерства просвещения систему отпуска продукции, нормы расхода сырья и материалов;

б) обеспечить строжайший количественный учет товарно-материальных ценностей на предприятиях и базах;

в) ввести пропускную систему на базах при ввозе и вывозе товарно-материальных ценностей;

г) обеспечить на базах пожарную и охранную сигнализацию.

3. Начальнику отдела технического надзора Министерства (тов. Гегешидзе В.) обеспечить качественный технический надзор над строительством объектов просвещения, исключающий какие либо приписки и прием объектов, выполненных некачественно и с дефектами.

Принять к сведению, что за допущенные приписки на строительстве спортивной школы в Кутаиси в сумме 6,8 тыс. руб. инженер-технадзора Г. Инашвили освобожден от работы со взысканием штрафа.

4. Начальнику контрольно-ревизионного отдела (Макацария В.):

а) в месячный срок проверить сохранность товарно-материальных ценностей, в первую очередь на базах и в хозорганах Министерства;

6) подготовить вопрос для коллегии Министерства в  
состоянии контрольно-ревизионной работы и мерах ее улучше-  
ния, обеспечивающих качественное и своевременное проведение  
документальных ревизий.

ОСНОВАНИЕ: Постановление коллегии Министерства  
просвещения Грузинской ССР от 8 октября 1971 года.

Министр просвещения Грузинской ССР  
**Т. Лашкарашвили**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
13 ოქტომბრის ბრძანება № 604

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატში  
მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის შემოწმების შე-  
დეგების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ განათლების სამინისტროს აპა-  
რატში წმინდაშენელოვანი მუშაობაა ჩატარებული. სსრ კაცულის,  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანე-  
ბულების „მოქალაქეთა წინადადებებისა და განცხადებების განხილ-  
ვის წესის „შესახებ“ ცხოვრებაში განუხრელად გატარების საქმე ში  
განსაკუთრებით მოქალაქეთა სამინისტროში მიღებისა და მათ მიერ  
დასმული საკითხების სწორად და ამომწურავად გადაწყვეტის  
დარგში.

ამასთან ერთად მშრომელთა მიღების საქმეში არის საგრძ-  
ნობი ნაცოლოვანებანი. ასე მაგ. შენიშნულია, რომ მიღების საა-  
თებს არ იცავენ ზოგიერთი სამმართველო-განყოფილებები; არის  
შემთხვევები, როდესაც მიღების საათებში იწვევენ თათბირებსა და  
კრებებს, რის გამო მოქალაქეებს ზოგჯერ დიდხანს უხდებათ ლო-  
დინი.

არ წარმოებს მიღებაზე გამოცხადებულ მოქალაქეთა და მათ  
საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღრიცხვა სპეციალურ  
უზრნალებში, რის გამო არ არის იმის შესაძლებლობა, რათა დად-  
გინდეს მიღების სრული სურათი, სახელდობრ: რა საკითხებზე მი-  
მართავდნენ მოქალაქეები სამმართველოს და რა შედეგები მოჰყვა  
მათ საჩივრებსა და მოთხოვნებს.

მოქალაქეთა მიღების დღეებისა და საათების მაუწყებელი  
აბრები ზოგიერთ სამმართველო-განყოფილებაში მოძველებულია  
ან ზუსტად არ ასახვენ სინამდვილეს.

## ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა აღმოფენების შიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მინისტრის მოადგილეებმა, განათლების სამინისტროს  
სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა:

ა) სრული წესრიგი დამყარონ მოქალაქეთა მიღების საქმეში.  
ზუსტად დაიცვან მიღების დღეები და საათები;

ბ) პირადად მიიღონ მშრომელები და გულდასმით მოისმინონ  
მათი განცხადება-საჩივრები. დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება  
მოქალაქეთა ყველა თხოვნისა და კანონიერ მოთხოვნილებათა  
დაქმაყოფილებისათვის;

გ) ამა თუ იმ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის დროს,  
აუცილებელ შემთხვევაში, აღგილებიდან გამოითხოვონ საჭირო  
შეღოყუმენტები, ან გაგზავნონ აღგილებზე მუმაკები საკითხების შე-  
სამოწმებლად და ობიექტურად გადასაწყვეტალ;

დ) დაუყოვნებლივ აცნობონ მოქალაქეებს, მათ წინადადებებსა  
და საჩივრებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

2. შემოღებულ იქნეს მინისტრთან, მის მოადგილესთან და  
სამმართველოებში მიღებაზე გამოცხადებულ მოქალაქეთა და ზეპირ  
განცხადებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა აღრიცხვა სპეცია-  
ლურ ჟურნალებში.

3. აღმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ:

ა) 10 დღის ვადაში დაბეჭდოს საჭირო რაოდენობით მიღე-  
ბაზე სამინისტროში გამოცხადებულ მოქალაქეთა სააღრიცხვო  
ჟურნალები;

ბ) ერთი თვის ვადაში გამოცვალოს სამუშაო ოთახების წინ  
გამოსაკრავი მოქალაქეთა მიღების დღეებისა და საათების ზუსტად  
მაუწყებელი აბრები.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

სამართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
14 ოქტომბრის ბრძანება № 614

1971 წლის სახელმწიფო კაპლანის დებით გათვალისწინებული განათლების ობიექტების მშენებლობისა და სიმძლავრითა ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმების შესრულების შესახებ ახალი სასწავლო წლისათვის

კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმით განათლების სამინისტროს ხაზით გათვალისწინებულია სკოლების, საბავშვო დაწესებულებათა და საბინაო მშენებლობაზე სახელმწიფო კაპლანის ტურნული 18634,0 ათ. მან. მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე 15973,0 ათ. მან.

1971 წლის გეგმით გათვალისწინებულია დამთავრდეს და გადაეცეს საექსპლოატაციოდ სასკოლო შენობები 80.387 მოსწავლის აღგილზე, საბავშვო ბაგა-ბალები 3800 ბავშვ აღგილზე, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები და სასკოლო ინტერნატები 4400 კვ. მეტრი ფართობით, აქედან 1 სექტემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო და საექსპლოატაციოდ გადაცემოდა სასკოლო შენობები 21,627 მოსწავლის აღგილზე, საბავშვო ბაგა-ბალები 2200 ბავშვ აღგილზე, საბინაო მშენებლობა 4400 კვ. მეტრი ფართობით.

ფაქტურად 1971 წლის 1 სექტემბრისათვის დამთავრდა და ექსპლოატაციაში გადაეცა ახალი სასკოლო შენობები 22.500 მოსწავლის აღგილზე ანუ გეგმის 104%-ი, ხოლო საბავშვო ბაგა-ბალებისა და საბინაო მშენებლობის 1971 წლის რვა თვის გეგმა არ იქნა შესრულებული, რის გამო საექსპლოატაციოდ გადაეცა საბავშვო ბაგა-ბალები მხოლოდ 190 ბავშვ აღგილზე საბინაო მშენებლობა 2560 კვ. მეტრი ფართობით.



საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 7 ტრეს-  
ტის მიერ (მმართველი ამხ. გ. შოთანიაშვილი) გეგმის ზე-  
ლამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შე-  
ნობა ქ. თბილისში ჩილიანის ქუჩაზე 1320 მოსწავლის ადგილზე.

მიუხედავად იმისა, რომ 1 სექტემბრისათვის სასკოლო მშე-  
ნებლობის სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაემის გეგმა შეს-  
რულებული იქნა, ძალზედ ჩამორჩება გეგმის შესრულება ამავე  
პერიოდისათვის როგორც ბაგა-ბალების ისე საბინაო მშენებლობის  
ხაზით, განსაკუთრებით ჩამორჩება ბაგა-ბალების მშენებლობა ქ.  
თბილისში, ვანში, ქობულეთში, თერჯოლაში, ლანჩხუთში, წა-  
ლენჯიხაში, ჩოხატაურში, წალენერში, ზნაურში, გალში, მანგლისში  
და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. არადამაკმაყოფილებლად მიმდი-  
ნარეობს აგრეთვე სასკოლო ინტერნატების მშენებლობა ხინაძირში  
(ხულოს რაიონი), აერარაში (გულრიფშის რაიონი), მაიაკოვსკში, სა-  
დაც წლიური გეგმა რვა თვეში შესრულებულია მხოლოდ 33% ით.  
ასეთი დაბალი შესრულება გამოწვეულია მოიჯარადორე მშენებელი  
ორგანიზაციების ცუდი მუშაობით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა  
სასკოლო, საბავშვო ბაგა-ბალებისა და საბინაო მშენებლობის  
ობიექტები სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილია ფინანსირებით  
და საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციით, მშენებელი ორგანიზა-  
ციების მიერ განათლების ობიექტები არ არის უზრუნველყოფილი  
მუშახელით, ტრანსპორტითა და საჭირო სამშენებლო მასა-  
ლებით.

განათლების ობიექტების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის  
შესრულების უზრუნველსაყოფად კოლეგია აღვენს:

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. დაავა-  
ლოს საქართველოს სსრ მშენებლობისა და სისოფლო მშენებლობის  
სამინისტროებს სპეციალურად განიხილონ სასკოლო, საბავშვო  
დაწესებულებათა და საბინაო მშენებლობის მიმდინარეობა და მიი-  
ლონ ქმედითი ზომები სასკოლო მშენებლობის 1971 წლის სახელ-  
მწიფო გეგმის შესრულებისათვის.

2. დაევალოს მომარავბისა და დამხმარე საწარმოთა სამ-  
მართველოს (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს მ/წლის ბოლომდე  
ყველა დამამთავრებელი ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხ-  
ვებში ინვენტარ-მოწყობილობის შესაძნად გათვალისწინებული  
თანხების მთლიანად ათვისება და ინვენტარ-მოწყობილობის გაცემა  
შესაბამის სახალხო განათლების განყოფილებებზე.



3. ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილობის  
ფილებათა გამგეებმა:

ა) დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მიმღინარე წელს ექსპლოა-  
ტაციაში გადასაცემი სკოლებისა და საბავშვო ბაგა-ბალების მშე-  
ნებლობის სატიტულო სიებით ინვენტარ-მოწყობილობების შესაძე-  
ნად გამოყოფილი თანხების მთლიანი ათვისებისათვის და ამ  
ინვენტარ-მოწყობილობის მიღება და ადგილზე შეზიდვა.

ბ) გაუწიონ საჭირო დახმარება, სასკოლო და საბავშვო და-  
წესებულებათა ობიექტების მშენებლობას და მიაღწიონ იმას, რომ  
უზრუნველყოფილი იქნეს განათლების ობიექტები საჭირო მუშა ხე-  
ლით და ტრანსპორტით.

4. დაევალოს კაპიტალური მშენებლობისა და ტექნიკური  
ზედამხედველობის განყოფილებებს (ამა. ს. უჩანეიშვილი, ამხ. ვ.  
გეგეშიძე) სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ განა-  
თლების ობიექტების მშენებლობას ადგილზე მიიღონ ზომები  
მ/წელს ექსპლოატაციაში გასაშვები ობიექტების მშენებლობის და-  
საჩქარებლად და ოპერატორლად, გადაწყვიტონ წამოჭრილი ტექ-  
ნიკური საკითხები.

მოახსენონ კოლეგიას განათლების ობიექტების 1971 წლის  
გეგმის შესრულების შესახებ მიმღინარე წლის დეკემბერში.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშევარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
15 იანვარის ბრძანება № 615


მე-2 რესპუბლიკური კონკურსის — „ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“ ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის სკოლისგარეშე და ქალასგარეშე მუშაობის განყოფილება მეორე წელია ატარებს რესპუბლიკურ კონკურსს — „ვინ უკეთ გაამწვანებს და გაალამზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“.

კონკურსი მიზნად ისახავს სკოლების შენობებსა და მათ შემოგარენში შეიქმნას ესთეტიკური გარემო, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შორის საკუთარი სკოლისადმი პატრიოტული გრძნობების აღზრდას, მათ შორის შრომითი ჩვევების დანერგვას, მცენარეებისადმი, ბუნებისადმი სიყვარულისა და მზრუნველობის გრძნობების გამომუშავებას.

პირველი რესპუბლიკური კონკურსის შედევებმა გვიჩვენეს, რომ რესპუბლიკის ბევრ სკოლაში გამწვანდა და გამშევრიერდა სკოლის ქარმიდამო, დაირგო მრავალი ათასი ძირი ხე, გაშენდა ყვავილნარები, ფაქიზად და გემოვნებით გაფორმდა სკოლის კიბინეტები, საკლასო ოთახები, დერეფენცები.

ამასთან ერთად აღვნიშნავ, რომ ჯერ კიდევ მიღწეული არ არის რესპუბლიკის სკოლების მასობრივიად ჩატარებული დონისძიებაში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ღონისძიების ორგანიზების საქმეში მონაწილეობა არ მიუღიათ ისეთ სკოლისგარეშე რესპუბლიკურ დაწესებულებებს, როგორიცაა ნორჩი ნატურალისტთა ცენტრალური სადგური და ბორის ძელიადის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რომელთაც ერთობლივი ძალებით დიდი დახმარების გაწევა შეეძლოთ სკოლებისათვის ესთეტიკური გარემოს შესაქმნელად.]



1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ინიციატივა რესპუბლიკური კონკურსის— „ვინ უკეთ გაამშვანებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“ ჩატარების შესახებ და იქცეს ის ტრადიციულ ღონისძიებად.

2. კონკურსის „ვინ უკეთ გაამშვანებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“ დებულება დამტკიცდეს.

3. დამტკიცდეს კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მუჯირი ჯ. ვ.—ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი (თავმჯდომარე)
2. დარსალია ქ. მ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
3. აგლაძე ე. ვ.—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ქლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილების გამგე
4. ჯიქიძე თ. გ.—ბორის ძნელაძის სახელობის რესპუბლიკური პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის გამგე
5. ბაქრაძე ი. ვ.—ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალური სადგურის დირექტორი
6. ჩირინაშვილი ი. მ.—საქ. სსრ გან. სამ. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი
7. ოდიშარია ზ. ვ.—ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი.

4. ესთეტიკური ალტრდის სამეცნიერო-მეთოლურშა კაბინეტში  
ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა დამსახურია  
სახლებ, ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურმა საღვურმა  
პერიოდულად მიავლინონ თავისი მუშაკები აღგილებზე  
კონკურსის ჩატარებაში დახმარების აღმოსაჩენად.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშეკაშვილი

დ ა მ ტ კ ი ი ბ შ ლ ۰ ۰

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
როს კოლეგიის 1971 წლის 8 ოქტომბრის  
სხდომაზე

რესპუბლიკური კონკურსის — „ვინ უკეთ გაამწვანებს  
და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“  
დებულება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ესთეტიკური  
აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის კლას-  
გარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილება, შრომის წითე-  
ლი დროშის ორდენისანი პ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და  
მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგის კაბინეტი და  
ქ. თბილისის ნორჩი ნატურალისტთა ცენტრალური სადგური აცხა-  
დებენ ტრადიციულ რესპუბლიკურ კონკურსს — „ვინ უკეთ გაამწვა-  
ნებს და გაალამაზებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს“.

კონკურსის მიზანია:

მოსწავლეთა შორის საკუთარი სკოლისადმი პატრიოტული  
გრძნობის აღზრდა, შრომითი ჩვევების დანერგვა, სკოლის შენო-  
ბასა და მის შემოგარენში ესთეტიკური გარემოს შექმნა, მცენა-  
რებისა და საერთოდ ბუნებისადმი სიყვარულისა და გულისხმიე-  
რების გრძნობის აღძვრა.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა სკოლას,  
სკოლა ინტერნატს, საბავშვო სახლს და სკოლისგარეშე დაწესებუ-  
ლებას.

კონკურსის ჩატარებას ადგილებზე ხელმძღვანელობენ ქალა-  
ქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან შექმნილი  
კონკურსის ჩამტარებელი კომისიები, რომლებიც სკოლებამდე  
დაიყვანენ კონკურსის დებულებას, მოსთხოვენ მათ აილონ კონკრე-

ტული ვალდებულებანი სკოლისა და მისი შემოგარენის გამწვანება—/ გამშვენიერებისათვის და პრაქტიკულ ხელმძღვანელობასა ჭრის მიზანისა მარებას გაუწევენ მათს საქმიანობას მთელი სასწავლო წლის მანძილზე (სკოლების უზრუნველყოფა ნერგებით, ყვავილების თესლებით და სხვ.).

კონკურსის ჩამტარებელი ადგილობრივი კომისიები სასწავლო წლის დასასრულს (აპრილის თვეში) ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის განყოფილების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლისა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურის წარმომადგენლებთან ერთად ატარებენ კონკურსის შედევების დათვალიერება—შემოწმებას, მოსთხოვენ სკოლებს ჩატარებული მუშაობის წერილობით ანგარიშს და ღირსეულთ გაუწევენ რეკომენდაციას, რათა ისინი დაჯილდოებულ იქნენ რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, ამასთან წარმოუდგენენ მას სკოლებში ჩატარებული მუშაობის ამსახველ მასალებს (ფოტო-ალბომებს, ჩანახატებს და სხვ.). რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ადგილებიდან მიღებული მასალების საფუძველზე აჯამებს კონკურსის შედევებს მაისის თვეში.

კონკურსში გამარჯვებული სკოლები. სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით და დიპლომებით, ხოლო დაწესებულებების ხელმძღვანელ-მასწავლებლები და მოსწავლეები—ტურისტული საგზურებით მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე საქართველოს ისტორიული ძეგლების გასაცნობად.

ადგილებიდან კონკურსის შედევების წარმოდგენის ვადაა I-ლი მაისი.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართია: ქ. თბილისი, დაღიანის ქ. № 11, ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
29 ოქტომბრის ბრძანება № 673

სამტრედიის მართლწერიგდამრღვევ და ძნელად  
აღხაზრდელ ბაგშვთა და მოზარდთა სპეციალური  
სკოლის შრომითი სწავლების ტიპობრივი პროგრამე-  
ბის შესახებ

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971  
წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ გა-  
ნათლების სამინისტროს 1971 წლის 22 იანვრის № 24 ბრძანების  
შესრულების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს სამტრედიის სპეციალური სკოლის დირექტორს  
ამხ. მ. გოგუაძეს:

ა) უზრუნველყოს 1972—1973 სასწავლო წლიდან სპეციალუ-  
რი სკოლის აღსაზრდელთა შრომითი სწავლება სსრ კავშირის  
განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული ტიპობრივი პროგ-  
რამებით. ამასთან ყველა ზომები მიიღოს სკოლაში შრომითი სწავ-  
ლების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად;

ბ) 1972 სლის 20 აგვისტომდე დაამთავროს სასწავლო საწარ-  
მოო სახელოსნოების მოწყობა სსრ კავშირის განათლების სამინის-  
ტროს 1970 წლის 5 ოქტომბრის ტიპობრივი დებულების შესაბა-  
მისად;

დ) სისტემატურად იზრუნოს სასწავლო-საწარმოო სახელოს-  
ნოებისა და სასწავლო კაბინეტების საჭირო ხელსაწყოებით და მა-  
სალებით შევსებისათვის;

ე) სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებში მტკიცედ დაიცვას  
შრომითი დაცვის, ტექნიკის უსაფრთხოებისა და საწარმოო სანი-  
ტარიის წესები.

2. საპროექტო კანტორამ (ამხ. თ. ქიქოძე) 1971 წლის I-ელ დექემბრამდე დაამთავროს სამტრედიის სპეციალური სკოლის სამშენებლო კონსტრუქციისა და სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოწყობის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება და წარმოადგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ტექნიკურ საბჭოზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. ი. უჩანევიშვილი) გაითვალისწინოს აღნიშნული ობიექტის მშენებლობა სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის გეგმით.

4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სამტრედიის სპეცსკოლა საჭირო რაოდენობის ინვენტარ-მოწყობილობითა და, სააღმშენებლო მასალით.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) უზრუნველყოს 1972 წლის I-ელ სექტემბრიდან სამტრედიის სპეცსკოლის აღსაზრდელთა შორის შრომითი სწავლების ორგანიზება ტიპობრივი პროგრამების შესაბამისად;

ბ) სპეცსკოლის დირექციასთან ერთად, აღგილობრივი პირობებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, განსაზღვროს სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მუშაობის პროფილი;

გ) 1972 წლის 20 აგვისტომდე სასწავლო-მეთოდურ კაბინეტთან (ამხ. მ. ყოლბაიასთან) ერთად უზრუნველყოს ხელისუფალი ტიპობრივი პროგრამების თარგმნა, დაბეჭდვა და სპეცსკოლამდე დაყვანა;

დ) სისტემატური კონტროლი დაწესოს აღნიშნული ბრძანების შესრულებასა და სამტრედიის სპეციალური სკოლის საქმიანობაზე.

**ხაფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 29 ოქტომბრის დალენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე ი. ბერიზაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
3 ნოემბრის ბრძანება № 687

ნორჩ ფიზიკოსთა 24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის  
შედეგებისა და 25-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის  
ჩატარების შესახებ

გავეცანი რა ნორჩ ფიზიკოსთა 24-ე რესპუბლიკური ოლიმ-  
პიადის შედეგებს, აღნიშნავ, რომ თანამედროვე მეცნიერებისა და  
ტექნიკის პროგრესი განუხრებადა დაკავშირებული ფიზიკის  
მძლავრ განვითარებასთან. მნიშვნელოვანწილად ამ ფაქტორითაც  
იყო განპირობებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის  
ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლა,  
ეს გარემოება კი თავის მარივ ფიზიკაში მოსწავლე ახალგაზრდო-  
ბის უფრო ღრმა და საფუძვლიან მომზადებას ითვალისწინებს.

რესპუბლიკის სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესებისა  
და პოპულარიზაციის საქმეს ემსახურება აგრეთვე ნორჩ ფიზი-  
კოსთა ტრადიციული ოლიმპიადი, რომლებიც ყოველ სასწავლო  
წელს ტარდება.

გასულ 1970—1971 სასწავლო წელს ორგანიზებულად ჩა-  
ტარდა ნორჩ ფიზიკოსთა 24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონა-  
ლური და რესპუბლიკური ტურები, რესპუბლიკის ქალაქებისა და  
რაიონების სკოლებიდან ზონალურ ტურში მონაწილეობის მისაღე-  
ბად შერჩეულ იქნა 694 მოსწავლე.

ზონალური ტურების ჩემტარებელ საორგანიზაციო კომი-  
ტეტში წარმოდგენილ ნამუშევართა რეცენზირების შედეგად დასკვ-  
ნით რესპუბლიკურ ტურში დაშვებულ იქნა 422 წორჩი ფიზიკოსი,  
აქედან გამარჯვება მოიპოვა 145 მოსწავლემ. მათ შორის, პირვე-  
ლი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა 12-მა, მე-2—67 მა და მესამე  
ხარისხის დიპლომი— 66 მოსწავლემ.

დასკვნით რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებულ მოსწავლე-  
თაგან შეირჩა და ნორჩ ფიზიკოსთა საქაგვირო ოლიმპიადულებით  
(ქ. ნოვოსიბირსკში) მიეღლინებულ იქნა ორი ჯგუფი 6 მოსწავლის  
შემადგენლობით, რომელთაგან ქ. თბილისის კომაროვის სახელო-  
ბის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მერვე კლასის მოს-  
წავლე მ. მამუკიშვილმა მესამე ადგილი დაიკავა, ხოლო ქ. თბი-  
ლისის 42-ე საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე მ. მარგვე-  
ლაშვილმა მიიღო სიგელი.

აღსანიშნავია, რომ ნორჩ ფიზიკოსთა 24-ე რესპუბლიკური  
ოლიმპიადისათვის წარმატებით მოემზადენ და ორგანიზებულად  
ჩაატარეს როგორც შიგა სასკოლო, ასევე ზონალური ტურები  
აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, ქ. ქ.  
თბილისის, ქუთაისის, ფოთის, გორის, ახალქალაქის, ახალციხის,  
გურჯაანისა და თელავის რაიონების განათლების განკუთფილებებმა,  
სკოლის დირექტორებმა და ფიზიკის მასწავლებლებმა.

რესპუბლიკურ დასკვნით ტურში მონაწილე ქ. თბილისის სკო-  
ლების VII—X კლასების 171 მოსწავლიდან გამარჯვება მოიპოვა  
104 მოსწავლემ, აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის სკოლების 33 მო-  
სწავლიდან 7-მა, აჭარის ასსრ რესპუბლიკის სკოლების 28 მოს-  
წავლიდან—5-მა. ქ. ქუთაისის სკოლების 10 მოსწავლიდან 3-მა, ქ.  
ფოთის სკოლების 13 მოსწავლიდან 3-მა, ქ. ჭიათურის სკოლების  
8 შიომიშვილიდან—3-მა. ახალციხის რაიონის სკოლების 19 მოსწავ-  
ლიდან—5-მა, თელავის რაიონის სკოლების 3 მოსწავლიდან—2-მა  
და სხვ.

24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადას დასკვნით ტურში საპატიო  
ადგილი დაიკავეს ქ. თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-  
მათემატიკური სკოლა-ინტერნატის (მასწავლებლები ლ. ჯანაშია,  
ა. გოგოლაძე, ე. რეხვაძევილი, რ. ჭელიძე) VIII—X კლასებისა (78  
მოსწავლიდან გაიმარჯვა 55-მა) და ქ. თბილისის 42-ე საშუალო  
სკოლის (მასწავლებლები სურგულაძე, კ. სტეფანოვი) ამავე კლა-  
სების მოსწავლეებმა (33 მოსწავლიდან 20-მა დიპლომი დაიმსახურა).

ზემოაღმიშნული წარმატებების მიუხედავად, ნორჩ ფიზიკოსთა  
24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალური და რესპუბლიკური  
ტურების ჩატარების პროცესში გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლო-  
ვანებებისა, ასე მაგალითად: აბაშის, ახმეტის, ვანის, გეგვეჟორის,  
გორის, ღმანისის, ყაზბეგის, ქარელის, ყვარელის, ლენტეხის, მარ-  
ნეულის, მაიაკოვსკის, მესტიის, ორჯონიქიძის, სამტრედიის, თერ-



ჯოლის, თიანეთის, ხაშურის, ხობის, წალენჯიხის, წულუკიძის, გამოცხადის, ჩხოროწყუს რაიონების განათლების განკოფრლებები, სკოლების ჩხოროწყუს რაიონების განათლების განკოფრლებები, სკოლების ხელმძღვანელები და ფიზიკის მასწავლებლები მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ ამ მეტად მნიშვნელოვან და სერიოზულ ლონისძიებების ჩატარების საქმეს და ვერ უზრუნველყოვს ნორჩი-ფიზიკოსთა 24-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადის დასკვნით ტურში მოსწავლეთა მონაწილეობა.

რიგ რაიონებსა და ქალაქებში სათანადო ყურადღებით არ მოეკიდნენ და დროულად არ გაშალეს მოსამზადებელი მუშაობა; სკოლებში მოსწავლეები არ ავარჯიშეს საოლიმპიადო ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, ხოლო ზოგიერთმა ზონალური ტურის ჩატარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა სათანადო კონტროლი ვერ დააწესა ოლიმპიადის მიმღინარეობაზე, რის გამოც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (8), ქ. ზუგდიდის (3), ბოლნისის (6), გარდაბნის (16), ღუშეთის (4), ზესტაფონის (5), ზუგდიდის (2), გახაბარის (9), ონის (9), თეთრიწყაროს (7) და წალკის (3) რაიონების სკოლების ვერც ერთმა მოსწავლემ დასკვნით ტურში ვერ მოიპოვა გამარჯვება.

ნორჩიზიკოსთა 24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურში შედარებით დაბალი მომზადება გამოამჟღვნეს VII და VIII კლასების მოსწავლეებმა; ტურში მონაწილე VII კლასის 31 მოსწავლიდან გაიმარჯვა 1-მა, VIII კლასის 105 მოსწავლიდან კი მხოლოდ—9-მ.

რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებმა ნათელყო, რომ სკოლებში ფიზიკის მასწავლებლები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ უთმობენ გამოთვლითი, თვისიობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნას. პრაქტიკული მუშაობის ცოდნა-ჩვევების გამოშუბრებასა და საკონტროლო წერების ჩატარებას, რის შედეგად ტურში მონაწილე ბევრმა მოსწავლემ დაბალი შეფასება მიიღო. დასკვნით ტურში მონაწილე VII—X კლასების 422 მოსწავლიდან 0,1 და 2 ქულა 110-მა მოსწავლემ მიიღო.

ნორჩიზიკოსთა 24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ორგანიზებულად და მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარების მიზნით

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნეს პირველი ხარისხის დიპლომით 12 მოსწავლე, მეორე ხელისხის დილპომით—67 და მესამე ხარისხის დიპლომით—66 მოსწავლე.



2. მიმღინარე 1971—1972 სასწავლო წელს ჩატარდეს ნორჩი ფიზიკისთა 25-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ორ ტურად (ზორნა-ლური და რესპუბლიკური). პირველი ზონალური დასწრებული ტური—ჩატარდეს 1972 წლის 13 თებერვალს, ხოლო რესპუბლიკური დასკვნითი ტური 1972 წლის 19 მარტს.

3. ნორჩ-ფიზიკისთა 25-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. მირიანაშვილი მათე—ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოკტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

2. ლალიძე ნათელა—საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის მდივანი;

3. ტონია სერგო—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი—თავმჯდომარის მოადგილე;

4. ჭილაშვილი გურამ—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

5. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკისთა ცენტრალური იაღურის დირექტორი;

6. დარსალია ქეთევან—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

7. კობახიძე ვალერიან—პედაგოგიურ მეცნიერებათა დოკტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

8. ვაშაკიძე ივანე—ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოკტორი, პროფესორი—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი;

9. უღენტი შალვა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის გამგე;

10. ღონილაძე დავით—ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ფიზიკის კათედრის დოცენტი;

11. ხაზარაძე ოთარ—თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის დოცენტი;

12. სანაძე გრიგოლ—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერთანამშრომელი;

13. კობახიძე გრიგოლ—ქ. თბილისის საშ. სკოლის 77-ე საშ. სკოლის დირექტორი;

14. გვილია დავით—ქ. თბილისის განათლების განყოფილება:  
ბის სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის  
გამგე;

15. ჩუცევი ვასილ—თბილისის პუშკინის სახელობის პედა-  
გოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი;

16. ობოლაძე მერაბ—თბილისის კომაროვის სახელობის ფი-  
ზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი;

17. კიკნაძე გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სად-  
გურის დირექტორის მოადგილე;

18. ოთარაშვილი სევასტიი—საქართველოს სსრ განათლების  
სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზი-  
კის კაბინეტის გამგე.

4. დამტკიცდეს ნორჩ ფიზიკოსთა 25-ე რესპუბლიკური  
ოლიმპიადის დებულება (თან ერთვის).

5. ნორჩ ფიზიკოსთა 25-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩამტა-  
რებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

ა) შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის  
ჩატარების და მუშაობის მიმღინარეობის შესახებ პერიოდული დ  
მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს;

ბ) საჭირო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკის მასწავლებლებსა  
და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ოლიმპიადის  
ჩატარების საქმეში;

გ) დროულად ჩატაროს ოლიმპიადისათვის მოსამზადებელი  
მუშაობა და რაიონები (ქალაქები) უზრუნველყოს მეთოდური მა-  
სალებით.

6. აცხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სა-  
მხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქილაქების  
განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ფიზიკის მასწავლებელთა სექციის სხდომებზე განიხილონ  
ნორჩ ფიზიკოსთა 24-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები  
და დასახონ ღონისძიებანი ფიზიკის სწავლების შემდგომი გაუმჯო-  
ბესებისათვის;

ბ) განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონ-  
ტროლი ოლიმპიადის ცალკეული ტურნების ჩატარებაზე და რეს-  
პუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში დროულად წარმოადგინონ  
ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.



7. რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმი გამოცხადების უნიკალურობის მიღებული გამოცდილება და მას სობრივი ადგინდება ჩამოყალიბები ამ საქმიანობაში.

8. რვაწლიანი საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა სისტემატურად ავარჯიშონ მოსწავლეები გამოთვლითი, თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, ჩატარონ საკონტროლო წერები ფიზიკაში და დანერგონ მოსწავლეთა შორის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარავებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არგელაძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1972 წლისათვის გამოუყოს ნორჩ ფიზიკოსთა 25-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების საჭირო ქაღალდი.

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1972 წლისათვის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები.

11. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და უურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმღიბარეობის შესახებ.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიფვაძე) სისტემატური კონტროლი დააწესოს ოლიმპიადის მომზადებისა და ჩატარების საქმეზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე ი. ბერიზაშვილი



14. ქ. ახალციხე—ახალციხის, აღიგენისა და ბორჯომის სკოლების სკოლებისათვის;
15. ქ. ახალქალაქი—ახალქალაქის, ასპინძისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლებისათვის;
16. ქ. თელავი, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლებისათვის;
17. ქ. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონების სკოლებისათვის;
18. ქ. დუშეთი—დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების სკოლებისათვის;
19. ქ. მახარაძე—მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლებისათვის;
20. ცაგერი—ცაგერისა და ლენტეხის რაიონების სკოლებისათვის;
21. ქ. ქასპი—ქასპისა და მცხეთის რაიონების სკოლებისათვის;
22. ბოლნისი—ბოლნისისა და ღმანისის რაიონების სკოლებისათვის;
23. თეთრიწყარო—თეთრიწყაროსა და წალკის რაიონების სკოლებისათვის;
24. ამბროლაური—ამბროლაურისა და ონის რაიონების სკოლებისათვის;
25. ქ. თბილისი—ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლებისათვის.
7. ზონალური ტურისათვის კანდიდატებს განათლების განყოფილებებთან შეთანხმებით შეარჩევენ სკოლები იმ მოსწავლეთაგან, რომელთაც აქვთ სათანადო მონაცემები და სურვილი მონაწილეობა მიიღონ ფიზიკის ოლიმპიადაში.
- ამ მოსწავლეთა სიები, შემოწმებული განათლების განყოფილების მიერ 1972 წლის თებერვლის 13-ით გვთავაზონება ზონის საორგანიზაციო კომიტეტს.
8. ორივე ტურისათვის ამოცანებს ადგენს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ გამოანგარიშებითი და თვისობრივი ხასიათის ხუთ-ხუთი ამოცანა.
- ზონალური დასწრებული ტური ტარდება 1972 წლის 13 თებერვალს, ერთდროულად ყველა ქლასისათვის.

ოლიმპიადის ზონალური დასწრებული ტურის ჩატარებისა  
თვის ზონაში არსდება ერთი პუნქტი.

ამ ტურის ამოცანებს დალუქული პაკეტებით საორგანიზაციო  
კომიტეტები ფოსტით ან სპეციალური პირის საშუალებით მიი-  
ღებენ.

ღრმ ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია 4 ასტრო-  
ნომიული საათი.

ზონალური დასწრებული ტურის ჩატარების დღეს დალუქულ  
პაკეტს ამოცანებით აუდიტორიაში ოლიმპიადის მონაწილე მოსწავ-  
ლეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური ტურის საორგანიზაციო  
კომიტეტის თავმჯდომარე.

9. ზონალურ ტურში წერით ნამუშევრებს, ტურის დამთავ-  
რების შემდეგ ასწორებს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტე-  
ტი. ცნობებს იმის შესახებ, თუ რამდენმა მოსწავლემ მიიღო მონა-  
წილეობა და გამარჯვებულ მოსწავლეთა სიას ნამუშევრების თან-  
დართვით, უგზავნის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს 5  
დღეში.

10. ამოხსნილი ამოცანების შეფასება ხდება ქულებით. თი-  
თოეული ამოცანის სწორი და სრული ამოხსნა შეფასდება ორი  
ქულით. ამოცანების ამოხსნისას არაარსებითი ხასიათის შეცდომე-  
ბის დაშვების შემთხვევაში 1 ქულით, ხოლო დაუმთავრებელი ნა-  
მუშევრის წარმოდგენის, ან არასწორი პაუზისათვის მოსწავლეს  
ნოლი ქული დაეწერება, გამარჯვებულად (ჩაითვლებიან ის მოს-  
წავლები, რომლებიც 10 შესაძლებლობიდან მოაგროვებენ 6 და  
მეტ ქულას.

შეფასება იწერება თითოეული ამოხსნილი ამოცანის ბოლოს.  
აუცილებელია ყველა შეცდომის აღნიშვნა. სამუშაოს ბოლოში კო-  
მისია წერს ქულათა საერთო რაოდენობის და ხელს აწერს. ზონა-  
ლური ტურის მონაწილეები, რომლებიც 10 შესაძლებლობიდან  
მოაგროვებენ 6 ქულას, დაიშვებიან რესპუბლიკურ დასწრებულ  
ტურზე.

11. მეორე რესპუბლიკური დასწრებული ტური ჩატარდება  
1972 წლის 19 მარტს ქ. თბილისში, რესპუბლიკურ ტურზე დასა-  
შვებ მოსწავლეთა სიას ცალკე კლასების მიხედვით. საზღვრავს  
რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და წინასწარ, 15 დღით  
ადრე, აცნობებს ამის შესახებ შესაბამისი ქალაქის (რაიონის) გა-  
ნათლების განყოფილებას.



12. რესპუბლიკური ტურის მონაწილე მოსწავლეთა ჩატიტევა-  
რებს ამოწმებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და გა-  
მოყოფს გამარჯვებულებს.

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში  
გამარჯვებულთა სიას წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების  
სამინისტროს დასაჯილდოებლად. 1 ხარისხის დიპლომით ჯილ-  
დოვდებიან ის მოსწავლეები, რომლებიც მოაგროვებენ 9—10 ქუ-  
ლას, I ხარისხის დიპლომით—7—8 ქულას, ხოლო III ხარისხის  
დიპლომით—6 ქულას.

ოლიმპიადის დასკვნითი ტურის ყველა მონაწილეს მიეცემა  
სამკერდე ნიშანი და მოწმობა.

ჯილდოების გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში.

14. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო დააჯილდო-  
ვებს აგრეთვე იმ მასწავლებლებს, რომლებიც წარჩინებით ხელ-  
მძღვანელობენ წრეებს, ატარებენ ფიზიკის ცოდნათა პროპაგანდას,  
ხელს უწყობენ ამ საგანში მოსწავლეთა ცოდნის ზემდგომ ამაღლე-  
ბას და რომელთა მოსწავლეები მოიპოვებენ წარმატებას.

ნორჩ ფიზიკოსთა ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო  
კომიტეტი

ქ. თბილისი, აკ. წერეთლის პრ. № 1

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
4 ნოემბრის ბრძანება № 691

საგნობრივი სასწავლო-მეთოდური საბჭოების ზოგადი  
დებულების დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს-  
თან არსებული საგნობრივი სასწავლო-მეთოდური საბჭოების ზო-  
გადი დებულება.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის დადგენილება, ოქმი № 19, 1971 წ.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე ი. ბერიშაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
არსებული საგნობრივი საშავლო-გეოგრაფიული  
საგზოების

### ზოგადი დებულება

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის ღონისძიებანი თვალისწინებს ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე სკოლების გეგმაზომი ერად და ორგანიზებულად გადაყვინას, საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლას, სასწავლო-მეთოდურ დარგში სკოლებისადმი ხელმძღვანელობის, დახმარებისა და კონტროლის გაუმჯობესებას, სასწავლო-მეთოდურ დარგში დაგროვილ გამოცდილებათა განზოგადოებისა და თანმიმდევრულად დანერგვის ორგანიზაციას, სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის შექმნასა და თარგმნაში, შრომების რეცენზირებისა და გამოცემის / საქმეში ხელის შეწყობას. ამ მიზნით განათლების სამინისტროსთან იქმნება დარგობრივი სასწავლო-მეთოდური საბჭოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ისტორიასა და საზოგადოებათ-მცოდნეობაში, გეოგრაფიაში, იქმნება აგრეთვე დაწყებითი კლასებისა და სკოლამდელი აღზრდის მეთოდური საბჭოები.

2. სასწავლო-მეთოდური საბჭოები კომისიების მეთოდის-ტებით, პედაგოგიურ მუშაობაში გამოცდილი და ამ საქმით დაინტერესებული მეცნიერებით, მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით.

3. საბჭოს წევრთა რიცხვი განისაზღვრება საბჭოს მუშაობის სპეციფიკითა და მოცულობით.

4. სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან იჩჩევენ საბჭოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, მდივანს და, საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს პრეზიდიუმს.



5. სასწავლო-მეთოდური საბჭოს შემაღენლობა, აგრძელებული საბჭოს თავმჯდომარე, მისი მთადგილე და მდივანი მტკიცდებულია სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე.

6. სასწავლო-მეთოდური საბჭო მუშაობს სამინისტროს ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

7. საბჭო მუშაობს სამინისტროსთან შეთანხმებული და სხდომაზე დამტკიცებული ყოველწლიური გეგმის მიხედვით.

8. საბჭოს სხდომებს იწვევენ საკიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც. სხდომებზე ფორმდება ოქმი.

9. საბჭოზე საკითხები წყდება ლია კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით.

10. სასწავლო-მეთოდური საბჭო, გარდა თავისი წევრებისა, მუშაობაში აბიმს წამყვან მასწავლებლებს, მეთოდისტებს, მეცნიერებს და სხვა სპეციალისტებს.

11. სასწავლო-მეთოდური საბჭო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით:

ა) სწავლობს შესაბამის საგანში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მდგომარეობის, სკოლების მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეს, შეიმუშავებს წინადადებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) მონაწილეობს სასწავლო პროგრამების შედგენისა და თარგმნის საქმეში. მუშაობს მათს სრულყოფასა და დახვეწაზე;

გ) იხილავს და რეკომენდაციის აძლევს შესაბამის დისციპლინაში თარგმნილ და ორიგინალურ სახელმძღვანელოებს, აგრეთვე ლიტერატურას ფაკულტატური მეცანიერობებისათვის, სპეციალური სკოლა-ინტერნატებისა და გაძლიერებული სწავლების სკოლებისათვის;

დ) სწავლობს ახალი პროგრამებით. სწავლების მდგომარეობას, შეიმუშავებს წინადადებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ე) სწავლობს მოწინავე შასწავლებელთა გამოცდილებას და აზოვგადებს მას;

ვ) დახმარებას უწევს მეთოდურ კაბინეტებს, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამამაღლებელ ყველა დაწესებულებას, სწავლობს მათ საქმიანობას და შეიმუშავებს წინადადებებს არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;



ზ) ეხმარება განათლების სამინისტროს საგაშოცდო ბიუჯეტისა  
ბის შედგენაში, სწავლობს შესაბამის დისციპლინაში გამოცდურების  
მიმღინარეობის მდგომარეობას;

თ) სწავლობს შესაბამის დისციპლინაში კაბინეტებისა და  
ლაბორატორიების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით სკო-  
ლების უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში მათი გამოყე-  
ნების საკითხებს და, ამასთანავე, სათანადო დისციპლინაში ახალი  
სასწავლო პროგრამებით მომუშავე მასწავლებელთა მომზადებას;  
შეიმუშავებს წინადადებებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვ-  
რელად;

12. სასწავლო-მეთოდურ - საბჭოს ყველა საკითხზე მოხსენე-  
ბითი ბარათი და ღონისძიების პროექტი შეაქვს სამინისტროს კო-  
ლეგიაზე განსახილებულად. განხილვაში მონაწილეობენ ის სპეცია-  
ლისტები, რომლებმაც საკითხი მოამზადეს.

13. სამინისტროს კოლეგია ისმენს სასწავლო-მეთოდური საბ-  
ჭოების თავმჯდომარების ინფორმაციებს მუშაობის მიმღინარეო-  
ბის შესახებ (სამ თვეში ერთხელ).

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
მეთოდური განყოფილება**

საჩართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
2 ნოემბრის ბრძანება № 681

ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების წრეების მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის შესახებ—მეთოდური წერილის დამტკიცება

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოწონებულ იქნეს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მიერ წარმოდგენილი მეთოდური მითითებები—ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების წრეების მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის შესახებ (დანართი № 1).

2. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორებმა ამხ. გ. ეპიტაშვილმა უზრუნველყოს წარმოდგენილი მეთოდური მითითებების სტამბური წესით დაბეჭდვა და დაყვანა აღვიღებამდე.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) გამოუყოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს ზემოდასახელებული მეთოდური მითითებების დასტამბვისათვის ქალალდი.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ-ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მოიწვიონ სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების ტექნიკური წრეების ხელმძღვანელთა თათბირი და გააცნონ მათ ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების წრეების მუშაობის შინაარსისა და ორგანიზაციის შესახებ“ მეთოდური მითითებები.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1971 წლის 29 იქტომბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის  
შეადგილუ თ. ბერიზაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წ.  
6 ნოემბრის ბრძანება № 692

1971 წლის საზაფხულო საკურსო ღონისძიებათა შედე-  
გების შესახებ

აღნიშნავ, რომ 1971 წლის ზაფხულის პერიოდში მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა და ინსტიტუტის სოცების, ბათუმის, ცხინვალისა და ქუთაისის ფილიალებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარეს სკოლების ახალ პროგრამებსა და ეგმებზე გადასცლასთან დაკავშირებით სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა გადამზადებისათვის. ამ პერიოდში გეგმით გათვალისწინებული 6630 მასწავლებლის ნაცვლად გადამზადებული იქნა 7225,

მასწავლებელთა ღიღი რაოდენობით გადამზადების შედეგად რესპუბლიკის ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტი ძირითადად უზრუნველყრფილია აღგილზე მეთოდური მუშაობის წარმართვისათვის კურსებგავლილი მასწავლებლებით. ინსტიტუტის დირექციამ განათლების განყოფილებათა მეთოდურ კაბინეტებს დროულად დაუგზავნა კურსებგაუგელ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის თემატიკა. –

ახალ პროგრამებზე გადასცლასთან დაკავშირებით ბაქოსა და ერევნის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში გადამზადების კურსები გაიარეს რესპუბლიკის აზერბაიჯანული და სომხური სკოლების მასწავლებლებმა, რომელთაგან ასევე მომზადდენ ლექტორები აღგილებზე მეთოდური მუშაობის ჩასატარებლად.

ზაფხულის პერიოდში ჯეროვანი ყურადღება მიექცა ოსური და აფხაზური დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა გადამზადებას, აგრეთვე კურსების ჩატარებას აღგილებზე. კურსები მაღალ ხარისხოვნად ჩატარდა გალის, გუდაუთის, ოჩამჩირის, ლაგოდეხის, თელავის, ჭიმბულეთის და სხვა რაიონებში, რასაც მნიშვნელოვნად

შეუწყო ხელი ამ რაიონების განათლების განყოფილებათა მხედვების  
სათანადო ყურადღებამ და დახმარებამ.

კურსების მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღ-  
ლესი სასწავლებლების ლექტორები, სკოლების მოწინავე პრაქტი-  
კოსი მასწავლებლები.

სათანადოდ იყო ორგანიზებული კურსებზე მსმენელთა კულ-  
ტურულ-მასობრივი მომსახურება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 1971 წლის ზაფხულის პე-  
რიოდში კურსების მუშაობაში გამოვლინდა მთელი რიგი ნაკლოვა-  
ნებები; ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება  
მთელი პასუხისმგებლობით არ მოეკიდა გადამზადების კურსებზე  
მასწავლებელთა მოვლინების საჭმეს. ასე, მაგალითად, ასპინძის  
რაიონის განათლების განყოფილებამ ნაცვლად 68 მასწავლებლისა,  
კურსებზე მოავლანა 39 მასწავლებელი, კურსებზე არ გამოუგზავნია  
IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის და მათემატიკის  
არც ერთი მასწავლებელი; ახალციხის რაიონში 89 მასწავლებლის  
ნიცვლად მოავლინა 50, არ მოუგლენა რუსული ენისა და ლიტე-  
რატურის, IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის და  
მათემატიკის მასწავლებლები; ბოლნისის რაიონში — 32-ის ნაცვლად  
— 21, არ გამოუგზავნია რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავ-  
ლებლები, ძალზე მცირე რაოდენობით მოავლინა ბიოლოგიის მას-  
წავლებლები; გარდამნის რაიონში 103 ნაცვლად — 78, მცირე  
რაოდენობით მოავლინა ბიოლოგიის მასწავლებლები; დმანისის  
რაიონში 49 მასწავლებლის ნაცვლად გამოგზავნა მხოლოდ 25;  
თიანეთში — 72 ნაცვლად — 38, მათ შორის არც ერთი IV კლასების  
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ვერ შეასრულა  
ბიოლოგიის მასწავლებელთა გადამზადების კურსებზე მოვლინების  
გვერდი: კასპია — 104-ის ნაცვლად — 55, ქარელში — 102-ის ნაცვლად  
70; ხაშურში — 119 ნაცვლად — 68; ქ. ზუგდიდში 94 მასწავლებლის  
ნაცვლად 48 მასწავლებელი მოავლინა; ვანის რაიონში ნაცვლად  
100-ისა მხოლოდ — 61; მესტიის რაიონში 83 მასწავლებლის ნა-  
ცვლად 36 და ა. შ.

კურსებზე არ გამოუგზავნიათ რუსული ენისა და ლიტერა-  
ტურის მასწავლებლები წულუკიძის რაიონის განათლების განყო-  
ფილებას, IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავ-  
ლებლები — ბორჯომის, გურჯაანის, მარნეულის, სიღნაღისა და

ყვარლის რაიონებს; IV კლასის მათემატიკის მასწავლებლებზე მცხოვრილი მეტის რაიონს; IV კლასების მათემატიკისა და ბიოლოგიის შასწავლებლები—ყაზბეგის რაიონს; უმნიშვნელო რაოდენობით გამოგზავნეს კურსებზე ბიოლოგიის მასწავლებლები აღიგენის, დუშეთის, მცხეთის რაიონებმა.

ვინაიდან სრულიად ან მცირე რაოდენობით მოავლინეს საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების ისტორია-საზოგადოებათ-მცოდნეობის, ქიმიის, ბიოლოგიის მასწავლებლები ქ. რუსთავის, ალგებრის, ასპინძის, ბოლნისის, გარდაბნის, თიანეთის რაიონებმა, აგრეთვე ბიოლოგიისა და ქიმიის შასწავლებლები აფხაზეთისა და აჭარის პსსრ განათლების სამინისტროებმა, ქ. გორის, ახმეტის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, თელავის, ქასპის, გორისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა, არ შედგა ამ საგნის მასწავლებელთა კურსები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაიონის განათლების განყოფილებები მასწავლებელთა გადამზადების კურსებზე თითქმის არ გზავნიან სკოლა-ინტერნატების მასწავლებლებს.

ჩესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა გადამზადების საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) მიიღოს ქმედითი ზომები საკურსო ღონისძიებათა 1871 წლის გეგმის განუხრელად შესრულებისათვის, პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ მასწავლებელთა გადამზადებას ან აღგილებზე მეთოდური მუშაობის ჩატარებას, რომლებმაც ზაფხულის პერიოდში რაიმე მიზეზის გამო ვერ გიარეს გადამზადების კურსები;

ბ) აღგილებზე გაატაროს საჭირო ღონისძიებანი კურსებგაუცლელ მასწავლებელთა შორის ინსტიტუტის მიერ დაგზავნილი თემატიკით მეთოდური მუშაობის სათანალო ღონებები ჭარბართვისათვის;

გ) აწლის 25 ნოემბრამდე უზრუნველყოს როგორც ინსტიტუტში, ასევე ფილიალებში მასწავლებელთა კარტოოეკების დამუშავება და 1972 წლიდან გადამზადების სხვადასხვა სახის კურსების კარტოოეკების მიხედვით დაკთმპლექტება.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებში,  
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონებში მართვა  
განათლების განყოფილებათა გამგებება:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა  
და განათლების დარგის სხვა მუშაქთა გადამზადებასა და კვალი-  
ფიკაციის ამაღლების საქმეს, სათანადო დახმარება გიურიონ მასწავ-  
ლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და ინსტიტუტის სოხუმის;  
ბათუმის, ცხინვალისა და ქუთაისის ფილიალებს მასწავლებელთა  
გადამზადების გეგმების შედევნასა და შესრულებაში. მიმღინარე  
წლის 20 ნოემბრამდე წარუდგინონ ინსტიტუტსა და ფილიალებს  
სათანადო კარტოთეკები;

ბ) პერიოდულად შეისწავლონ და კოლეკიებისა და სახალხო  
განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ კურსებზე მივლინე-  
ბულ მასწავლებელთა დასწრებისა და მუშაობის მდგომარეობა,  
გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დასახონ ქმე-  
დითი ღონისძიებანი, ხოლო იმ მასწავლებელთა მიმართ, რომლე-  
ბიც თავს არიდებენ გადამზადების კურსების გაფლას და არ იმაღ-  
ლებენ კვალიფიკაციას, მიიღონ გადამჭრელი ზომები.

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საღამოს (ცვლის)  
და დაუსწრებელი სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მასწავლებ-  
ლების გადამზადების კურსებზე მოვლინების საქმეს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
სკოლა-ინტერნატებისა და საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი  
სკოლების სამმართველოებს (რ. კანდელაკი, ვ. ჩინჩალაძე) სათა-  
ნადო მუშაობა ჩაატარონ, რათა 1972 წლის უზრუნველყოფილი  
იქნეს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებისა და საღამოს (ცვლის)  
და დაუსწრებელი სკოლების მასწავლებელთა დროული მოვლინება  
კურსებზე, აგრეთვე ადგილებზე კურსების გაშველ  
მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობის გაშლა.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების  
განყოფილებამ (ამბ. ი. კვაჭაძე) კონტროლი დაწესოს ამ ბრძანე-  
ბის შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1971 წლის 29 ოქტომბრის დადგენი-  
ნილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის  
მოადგილე ი. ბერიძაშვილი

საქართველოს სარ განათლების  
სამინისტრო № 5/2004  
10 ნოემბერი 1971 წ.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების  
მინისტრებს, სამსროეთ-ოსეთის აგრონომიური  
ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათ-  
ლების განყოფილებათა გამგეებს

რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებების მასწავ-  
ლებელთა დახელოვნების ინსტიტუტსა და მისი სოცემის, ბათუმის,  
ცხინვალისა და ქუთაისის ფილიალებს წარუდგინეს სკოლის ხელ-  
მძღვანელ მუშაქთა და მასწავლებელთა კარტოთეკები, ან დიდი  
დაგვიანებით, ან არ წარუდგენიათ (ახალქალაქის, ბოგდანოვკის,  
ბოლნისის, დმანისის, ლუმეთის, ლაგოდეხის, მარნეულის, სიღნა-  
ტის, ქარელის, წალეის, ხაშურის), ან წარუდგენილია მეტად უხა-  
რისხმ მასალა: კარტოთეკები შეიცავს არსებითი ხასიათის უზუს-  
ტობებს, შეცდომებს, რაც მთავარია, კართოტეკები ყოველთვის  
არ იძლევა რაიონის (ქალაქის) სკოლის ხელმძღვანელ მუშაქთა და  
მასწავლებელთა შემადგენლობის შესახებ სრულ სურათს.

ასე მაგალითად, ასპინძის, ბროჯომის, გარდაბნის, მცხეთის,  
საგარეჯოს, წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებს  
მხოლოდ თითო ან ორ-სამ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაო-  
ბის ორგანიზატორზე აქვთ შევსებული კარტოთეკა.

წითელწყაროს რაიონის განათლების განყოფილებას კარტო-  
თეკა წარდგენილი აქვს ინსტიტუტში რვაწლიანი და საშუალო  
სკოლის 3 დირექტორზე და სასწავლო დარგში დირექტორის 2  
მოადგილეზე, ყვარლის რაიონიდან წარმოდგენილია კარტოთეკა 3  
დირექტორზე. ყაზბეგის რაიონიდან 1 დირექტორია და დირექ-  
ტორის ერთ მოადგილეზე. ახალციხის რაიონიდან გეოგრაფიის



სამინისტრო  
მინისტრი

შპოლლდ 1 მასწავლებლის კარტოთეკა არის წარმოდგენილი მინისტრის  
გორჯომილან—9 და ა. შ.

გევალებათ მეტი პასუხისმგებლობით მოექიდოთ კარტოთეკე-  
ბის წარმოების საქმეს და იმ რაიონების (ქალაქების) განათლების  
განყოფილებებს, რომელთაც არ წარმოუდგენიათ, ან უხარისხო  
კარტოთეკები აქვთ გამოგზავნილი მასწავლებელთა დახელოვნების  
ინსტიტუტსა და მის ფილიალებში, ა/შ 25 ნოემბრამდე უზრუნ-  
ველყონ სრული წესრიგი კარტოთეკების გამოგზავნისა და შევსე-  
ბის საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის  
მოადგილე ი. ბერიძაშვილი

## შ 0 6 5 1 6 6 0

1. № 602—თიანეთის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების მეშაობის შემოწმების შესახებ	3
2. ბრძანება № 605—დამხმარე სკოლების დაწყებითი ქლასების ახალი პროგრამების დამტკიცების შესახებ	33
3. Приказ № 603—О мероприятиях по обеспечению сохранности дежных средств и товарно-материальных ценностей на предприятиях и организациях Министерства просвещения Грузинской ССР	35
4. ბრძანება № 604—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აპარატში მოქალაქეთა მიღების მდგრამარეობის შემოწმების შედეგების შესახებ	38
5. ბრძანება № 614—1971 წლის სახელმწიფო კაპიტალდებით გათვალისწინებული განათლების ობიექტების მშენებლობისა და სიშეძლვერთა ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმების შესრულების შესახებ ახალი სასწავლო წლისათვის	40
6. ბრძანება № 615—მე-2 ჩესპუბლიკური კონკურსის—ერთ გამომატებს და გადამამარტებს თავის სკოლასა და მის შემოგარენს—ჩატარების შესახებ	43
7. ბრძანება № 673—სამსახურის მართლწესრიგდემზღვავ და ძნელად აღსაზრდელ ბავშვობ და მრავარლით სპეციალური სკოლის შრომითი სწავლების ტიპობრივი პროგრამების შესახებ	48
8. ბრძანება № 687—ნორჩ ფიზიკოსთა 24-ე ჩესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 25-ე ჩესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ	50
9. ბრძანება № 691—საგონიძოვის სასწავლო-მეთოდური სიმპოზიუმის ზოგადი დებულების დამტკიცების შესახებ	51
10. ბრძანება № 681—ბავშვთა ტექნიკური შემოქმედების წრეების შინიარისისა და ორგანიზაციის შესახებ მეთოდური წერილის დამტკიცების შესახებ	55
11. ბრძანება № 692—1971 წლის საზოგადო საკურსო ღონისძიებათა შედეგების შესახებ	66
12. ცირკულარული წერილი № 5/2004	70